# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 18 ნოემბერი, 2015 წელი.

№217 (7862)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



3

## მამუკა არეშიძე:

## დღევანდელი საფრანგეთისთვის „ხელის გახსნის“ თვალსაზრისით, ცუდი რამ არ მოხდა

## ობამა-პუტინის შეხვედრა – რა შეიცვალა პარიზის ტერაქტების შემდეგ?



2

6

## სასამართლო პროცესები, სატელეფონო მოსმენები და სახელისუფლებო პოზიციები





4

## ის, რაც კარგია ამერიკისთვის, ყველასთვის კარგია?..

7

## ორი კურდღლის დაჭერა ნაციონალურად

⊙ ხალხის აზრი ასეთია!

## აშშ-ის ელჩის ბატონ იან კელის

## აშკარად ტენდენციური განცხადება საზოგადოებას აბნევს



– ბატონო ელჩო, როცა „რუსთავი-2“-ის სასამართლო პროცესზე ვლაპარაკობთ, ამ შემთხვევაში მთავარი უწინარესად ის არის, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ასე თუ ისე დაიწყო და არხის კანონიერი მესაკუთრე, როგორც იქნა, იბრუნებს წინა, ბევრი თვალსაზრისით, დამნაშავე ხელისუფლების მიერ ყაჩაღურად წართმეულ ქონებას, რაც სრულებითაც არ ნიშნავს **„წამყვანი ოპოზიციური არხის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას და, თუ ოპოზიცია საბოლოოდ დაკარგავს წვდომას ამ სატელევიზიო არხზე ან ეს არხი ზეკრიტიკულიდან გახდება ნეიტრალური, ან კიდევ უარესი, პროსამთავრობო, ეს გამოიწვევს ეჭვს, რომ საქართველოში არ არის უზრუნველყოფილი წინასაარჩევნო თანაბარი სათამაშო ველი“.**

არა, ბატონო ელჩო, თქვენი ეჭვი თუ შიში ნამდვილად უსაფუძვლოა. როგორც უკვე გითხარით, ჯერ მთავარია, რომ სამართლიანობა აღდგეს, რაც თქვენ მაინცადამაინც რატომღაც არ გაღელვებთ. რაც შეეხება არხის სარედაქციო პოლიტიკას, პირიქით, თავის ძველ უფლებებში აღდგენილი ახალი ხელმძღვანელობა, იმედია, კიდევ უფრო კრიტიკულს გახდის, ოღონდ, მიუკერძოებელს, რასაც არცრა საერთო არ ექნება ამ არხიდან ამჟამინდელ ლაფისროლიაობასთან და ქვასროლიაობასთან.

ასე რომ, ბატონო ელჩო, ყაჩაღურად წართმეულ არხს უკანონოდ დაუფლებული ხელმძღვანელობის შეცვლა კანონიერი ხელმძღვანელობით უთუოდ მხოლოდ სასიკეთოდ აისახება „რუსთავი-2“-ის სარედაქციო პოლიტიკაზე, იმ „რუსთავი-2“-ისა, რომელსაც დღეს ხალხში „**ცრუ**სთავი-2“-ის სახელი აქვს.

ერთი სიტყვით, საღელვებელი ნამდვილად არა გაქვთ რა.

მშვიდად ბრძანდებოდეთ, ბატონ იან!

არა გვგონია და ვერც დავიჯერებთ, რომ სამართლიანობის აღდგენა თქვენც ისევე არ გახარებთ, როგორც ჩვენ, შტატების მეგობარ ქართველებს.

**გურამ წიკლაური; ალექსანდრე ალექსიძე; რუსლან ჩარკვიანი; სპარტაკ დოხნაძე; მამუკა ლოგუა.**

## ლევან იზორია: საქართველო ტერორიზმის მაღალი რისკის კატეგორიის ქვეყნებში არ გადის

8





10

## თაობები იამაყებენ

ქართული სპორტის „ოქროს“ თაოკაცი

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# უსამძიმრებენ ფრანგ ხალხს

**თბილისის საკრებულოში ფრანგი ხალხის თანაგრძნობისთვის სამძიმრის წიგნი გაიხსნა. თბილისის საკრებულოს ფოიეში მოწყობილია სპეციალური ადგილი, სადაც მოქალაქეებს, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, მთავრობის წევრებს შეუძლიათ, სამძიმრის წიგნში ჩანაწერი გააკეთონ და 13 ნოემბერს პარიზში დატრიალებული ტრაგედიების გამო ფრანგ ხალხს მიუსამძიმრონ.**

**თბილისის საკრებულოში იმყოფებოდნენ საფრანგეთის ელჩი საქართველოში რენო სალენსი და საელჩოს წარმომადგენლები, ასევე საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი.**

**სამძიმრის წიგნში პირველი ჩანაწერი ჩინეთის საელჩოს წარმომადგენელმა გააკეთა, ასევე გააკეთეს ჩანაწერი სხვადასხვა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა.**

**სამძიმრის წიგნის გახსნასთან დაკავშირებით, საფრანგეთის ელჩმა საქართველოში რენო სალენსმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, საფრანგეთში გლოვის მესამე დღეა. მისი თქმით, მთელ მსოფლიოში იხსნება სამძიმრის წიგნები და უამრავი ადამიანი შეძრულია იმით, რაც ხდება საფრანგეთში.**

**„მე მივიღე უამრავი თანაგრძობა ქართველებისაგან და ვიცი, რომ უამრავი ქართველი მოვა დღეს აქ. სამძიმრის წიგნი გახსნილი იქნება 19:00 საათამდე. ჩვენ კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდით საქართველოს მთავრობას ამ ცერემონიალის ორგანიზებისათვის თბილისის ერთ-ერთ საზოგადოებრივ შენობაში და ვფიქრობ, რომ ეს კარგი სიმბოლოა“, — განაცხადა საფრანგეთის ელჩმა.**




* * *

**საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია პარიზში მომხდარ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით ფრანგ ხალხს და საფრანგეთის სახელმწიფოს სამძიმარს უცხადებს.**

თბილისის საკრებულოში გახსნილ სამძიმრის წიგნში ჩანაწერი გააკეთეს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა და მისმა მოადგილემ.

„ჩვენ ვართ უაღრესად დამწუხრებული პარიზში მომხდარის გამო. სამძიმარს ვუცხადებთ ფრანგ ხალხს“ — ნათქვამია სამძიმრის წერილში.

### გიორგი მარგველაშვილი: ისლამური სახელმწიფო ტერორისტული წარმონაქმნია, რომელიც დასრულდება ისე, როგორც ასრულებენ არსებობას ტერორისტები

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პარიზში მომხდარ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით თბილისის საკრებულოში გახსნილ სამძიმრის წიგნში ჩანაწერი გააკეთა.**

როგორც ქვეყნის პირველმა პირმა ჟურნალისტებს განუცხადა, მძიმე წუთებში იგი ფრანგი ხალხის და საფრანგეთის სახელმწიფოს გვერდითაა.

„ამ მძიმე წუთებში თანადგომას ვუცხადებ ფრანგ ხალხს და საფრანგეთის სახელმწიფოს. ფრანგ მოკავშირეებთან ჩვენი განსაკუთრებული ურთიერთობა მაშინაც გამოჩნდა, როცა ევროკავშირის ფარგლებში ქართველი მებრძოლები ფრანგ მებრძოლებთან ერთად დადგნენ აფრიკის ცენტრალურ რესპუბლიკაში და შეასრულეს მნიშვნელოვანი მისია. ამ რეალობაში ნათლად უნდა დავინახოთ, როგორი გამოწვევის წინაშე დგას კაცობრიობა.

„ისლამური სახელმწიფო“ არის ერთი დიდი ტყუილი, რადგან არც სახელმწიფოსთან აქვს არანაირი კავშირი და არც ისლამთან“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

ქვეყნის პირველი პირის შეფასებით, ე.წ. ისლამური სახელმწიფო ტერორისტული წარმონაქმნია, „რომელიც დასრულდება ისე, როგორც არსებობას ასრულებენ ტერორისტები“.

### შეტევა ყველა იმ ღირებულებაზე, რაზეც დგას ცივილიზებული სამყარო

**„იუსტიციის სამინისტროს სახელით მინდა გამოვხატო მწუხარება და სამძიმარი გამოვუცხადო ფრანგ ხალხს. მძიმე შეტევის ქვეშ მოექცა საფრანგეთის დედაქალაქი.** ამ შემთხვევაში ეს არის შეტევა ყველა იმ ღირებულებაზე, რაზეც დგას ცივილიზებული სამყარო და დემოკრატიული სისტემა, უპირველესად ეს არის ადამიანის თავისუფლება, უფლება, განკარგოს თავისი ბედი, განვითარდეს საზოგადოებაში ისე, როგორც მას უნდა. აქედან გამომდინარე, ეს შეტევა არის შეტევა ყველას მიმართ და მის წინააღმდეგ საჭიროა საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზაცია“, — აღნიშნა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გოჩა ლორთქიფანიძემ.

### რათა ტერორიზმის საფრთხის წინაშე არ აღმოვჩნდეთ

**ნინო ბურჯანაძე საკრებულოში პარტიის წევრებთან ერთად მოვიდა და სამძიმრის წიგნში ჩანაწერი გააკეთა. ნინო ბურჯანაძემ ფრანგ ხალხს სამძიმარი გამოუცხადა.**

„არ ვიქნებოდი ძალიან მშვიდად საქართველოს სტაბილურობის გამო, იმიტომ, რომ ჩვენ კვლავ სერიოზული საფრთხის წინაშე ვდგევართ. ამიტომ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისთვის, რომ ტერორიზმის საფრთხის წინაშე არ აღმოვჩნდეთ. ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისთვის, რომ ის ახალგაზრდები, რომლებსაც ტვინს ურევენ, მათ შორის ჩვენს ქვეყანაში, დაცული იყვნენ და ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს“, — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

## საქართველოს ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ აღიარებს

**საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს რიგით მეორე სხდომის შემდეგ, რომელიც ბრიუსელში გაიმართა, ევროპული საბჭოს ვებგვერდზე ოფიციალური პრესრელიზი გამოქვეყნდა.**

დოკუმენტში ნათქვამია, რომ სხდომის დასაწყისში, საბჭოს წევრებმა პარიზში მომხდარი ტერაქტები მკაცრად დაგმეს.

„ორივე მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კვლავ ერთგული რჩება საქართველოს პოლიტიკური ასოცირებისა და ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის და კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ევროპული მისწრაფებები, ევროპული არჩევანი და საერთო მიზანი, ხელი შეუწყოს დემოკრატიული, სტაბილური და წარმატებული ქვეყნის მშენებლობას“, — ნათქვამია განცხადებაში.



ასოცირების საბჭო მიესალმა საქართველოს მზადყოფნას, განამტკიცოს რეფორმების პოზიტიური შედეგები იმ საერთო ფასეულობების შესაბამისად, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულებაშია ჩამოთვლილი: ესენია დემოკრატია, სათანადო მმართველობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა. ამ კონტექსტში, ასოცირების საბჭო აღიარებს საქართველოს ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის.

განცხადების თანახმად, ორივე მხარე შეთანხმდა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ფონზე, საჭიროა „დემოკრატიული იმპულსის“ შენარჩუნება. ევროკავშირმა ასევე, მოუწოდა „საქართველოში ყველა პოლიტიკურ ძალას, უზრუნველყოს თავისუფალი და პრულალისტური მედია და პოლიტიკური გარემო“, რაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარების წინაპირობაა და თავი შეიკავონ ისეთი ნაბიჯებისგან თუ განცხადებებისგან, რომელიც დაძაბულობას გაზრდის და პოლარიზებას შეუწყობს ხელს.

**„ევროკავშირი გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას მის ძალისხმევაში, გაატაროს სასამართლო სისტემის რეფორმა და გააძლიეროს კანონის უზენაესობა. ევროკავშირი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ სისხლის სამართლის გამოძიება და სისხლის სამართლის დევნა იყოს დამოუკიდებელი, ფაქტებზე დაფუძნებული, გამჭვირვალე, მიუკერძოებელი, კანონით გათვალისწინებული პროცედურების მკაცრი დაცვითა და ასოცირების ხელშეკრულებით მიღებული ვალდებულებების შესაბამისად“,** — ნათქვამია განცხადებაში.

ასოცირების საბჭო მიესალმება საქართველოს პროგრესს ვიზა ლიბერალიზაციის გზაზე, ასევე ადამიანის უფლებების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის, ასევე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზების საკითხში.

„ევროკავშირმა კიდევ ერთხელ მტკიცე მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ასოცირების საბჭომ შეშფოთება გამოთქვა საქართველოს რეგიონებში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების გამო, მათ შორის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის ინტეგრაციის გაღრმავების შესახებ რუსეთის მიერ ე.წ. „შეთანხმებების“ რეალიზების გამო, და იმის გამო, თუ რა გავლენას ახდენს ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ბანერების უკანონო დადგმა უსაფრთხოებაზე, არსებობის წყაროებსა და ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფლად გადაადგილებაზე“, — ნათქვამია განცხადებაში.

**ახალი ტრაგედიის პირისპირ**

# ობამა-პუტინის შეხვედრა — რა შეიცვალა პარიზის ტერაქტების შემდეგ?

**პარიზში მომხდარი ტერაქტების სერიამ თურქეთის ქალაქ ანტალიაში დიდი ოცეულის შეხვედრის ძირითადი მიმართულება შეცვალა. ამერიკის პრეზიდენტის ბარაკ ობამას და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის შეხვედრამ, რომელსაც მედია, ექსპერტები და მსოფლიო დიდი ინტერესით ელოდებოდა, მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა.**

ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტებმა მოკლე შეხვედრა მხოლოდ თარჯიმანების თანდასწრებით გამართეს.

როგორც თეთრი სახლის ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, მხარეებმა შეხვედრის დროს სირიის და უკრაინის საკითხები განიხილეს.

**„ორივე ქვეყნის ხელმძღვანელი შეთანხმდა იმაზე, რომ სირიაში საჭიროა პოლიტიკური ტრანსფორმაცია, რომლის სათავეშიც მხოლოდ სირიელები იქნებიან. პრეზიდენტებმა შეხვედრაზე უკრაინის საკითხებიც განიხილეს“,** — ნათქვამია განცხადებაში.

შედარებით უხვსიტყვიანი იყო კრემლის განცხადება. რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის იური უშაკოვის განცხადებით, შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ორი ქვეყნის ინტერესების დაახლოების შესახებ.

**„შეხვედრაზე იყო შესაძლებლობა, დაწვრილებით განეხილათ ორი უმთავრესი საკითხი ჯერ სირიის, შემდეგ კი უკრაინის მიმართულებით. ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია ორივე ქვეყანას ერთი და იგივე აქვს, განსხვავება მხოლოდ ტაქტიკაშია“,** — აღნიშნა უშაკოვმა.

**„ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ აუცილებელია, წინ აღვუდგეთ ტერორიზმს და დავეხმაროთ მილიონობით ადამიანს, რომლებიც საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩა, ამის მიღწევა კი მხოლოდ მთელი მსოფლიოს საზოგადოების ძალთა გაერთიანებით შეიძლება. აუცილებელია ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა, თუმცა გაეროს მიერ შემუშავებული დადგენილების მკაცრი გათვალისწინებით, ჩვენ უნდა დავიცვათ საერთაშორისო ნორმები, პატივი ვცეთ თითოეული სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებსა და ინტერესებს“,** — აღნიშნა პუტინმა.

რაც შეეხება ამერიკის პრეზიდენტის განცხადებას, როგორც რუსული მედია აღნიშნავს, ობამა შედარებით ფრთხილი და ნაკლებად კატეგორიული იყო, როდესაც სირიაში რუსეთის როლის შესახებ საუბრობდა.

ამერიკულმა მედიამ კი თეთრი სახლის მეთაურის განცხადება, სადაც ობამამ ხაზი გაუსვა რუსეთის სამხედრო ქმედებების მნიშვნელობას სირიაში, პუტინის მიმართ პოზიციის შეცვლად აღიქვა.



კიდევ ერთი დეტალი: თუ შარშან ავსტრალიაში გამართულ ფორუმზე დიდი ოცეულის ლიდერები პუტინთან შეხვედრებს დემონსტრაციულად გაურბოდნენ, პარიზის ტერაქტების ფონზე, პუტინი ყველაზე პოპულარულ პერსონად იქცა ანტალიაში.

ამერიკელი ექსპერტი სტივენ სესტანოვიჩი The Wall Street Journal-ში წერს, რომ ობამამ ყურადღება აღარ უნდა მიაქციოს რესპუბლიკელებს, რომლებიც „ცუდ ბიჭებთან“ ლაპარაკის გამო აკრიტიკებენ თეთრი სახლის მეთაურს.

**„გამოჩნდება თუ არა ობამა სუსტი, თუ პუტინს დაელაპარაკება? რესპუბლიკელები, რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ ობამა „ცუდ ბიჭებს“ ელაპარაკება, გალანძღავენ, მაგრამ თუ შენ შეგიძლია, აჩვენო შენი თანმიმდევრულობა და მიაღწიო სასურველ კომპრომისებს, მაშინ საშიშიც არაფერია“,** — წერს ამერიკელი ექსპერტი.

რუსული გამოცემის „Россия в глобальной политике“-ს რედაქტორის ფეოდორ ლუკიანოვის აზრით, ობამას განცხადებაში ნათლად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ დასავლეთის მოთხოვნა სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის გადაყენების და ქვეყნის მართვის დროებითი საბჭოს გადაცემის შესახებ, მეორე ადგილზე გადადის.

**„პარიზში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ, დასავლეთისთვის ახლა მთავარია, მთელ მსოფლიოს აჩვენოს, რომ ის ასადის რეჟიმს კი არა, სირიაში „ისლამურ სახელმწიფოს“ და ტერორიზმს ებრძვის“,** — განაცხადა ლუკიანოვმა და აღნიშნა, რომ ლიდერებმა გადაწყვიტეს ერთმანეთს ხელი, უბრალოდ, არ შეუშალონ.

იგეგმება ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დევიდ კემერონის და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის შეხვედრა. სულ რამდენიმე დღის წინათ, ბრიტანეთი უარს აცხადებდა რუსეთისთვის გადაეცა ეგვიპტეში ჩამოვარდნილი A321-ის თვითმფრინავის შესახებ თავისი კონტრდაზვერვის მიერ მოპოვებული მასალები, დღეს კი კემერონი გაცხარებით ამტკიცებს: „არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაშიც ჩვენ ყველა ვთანხმდებით, თუ დამარცხდება „ისლამური რესპუბლიკა“, ჩვენ უსაფრთხოდ ვიქნებით როგორც რუსეთში, ისე ბრიტანეთში“.

**ეკა ბუჩუკური**



# მამუკა არეშიძე: დღევანდელი საფრანგეთისთვის „ხელის გახსნის“ თვალსაზრისით, ცუდი რამ არ მოხდა

***— სირიასა და ერაყში მიმდინარე პროცესები არის მართული ქაოსის პროცესი, რომელშიც მონაწილეთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება. ყველას ხელს აძლევს, იქ იყოს მუდმივი ომი... ყველას: თურქეთს, აშშ-ს, რუსეთს, ევროკავშირს და, რასაკვირველია, სპარსეთის ყურის ქვეყნებს. ორივე წარმონაქმნი — სირიაც და ერაყიც — ხელოვნურია, ფაქტობრივად, პირველი მსოფლიო ომის დროს შექმნილი და იმ სივრცეში მუდმივი კონფლიქტის, მართული ქაოსის არსებობა ძალიან ბევრისთვის პოლიტიკური და მატერიალური სარგებლის მომტანია“, — ამბობს ექსპერტი მამუკა არეშიძე. იგი კონფლიქტის კიდევ დიდი ხნით გაგრძელებაზე აკეთებს აქცენტს:***

— ეს იქნება დაუსრულებელი პროცესი იმისთვის, რომ არ გადაიზარდოს ცივილიზაციათა ომში, დაპირისპირებაში ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის, ამიტომ საჭიროა, ერთ სივრცეში, ერთ გეოგრაფიულ ქვაბში იყოს მუდმივი ომი და არეულობა...

**— მსოფლიო ლიდერების გაერთიანების შემთხვევაში ამ კონფლიქტის აღმოფხვრა შესაძლებელია?**

— არა, უკვე წარმოუდგენელია ამის აღმოფხვრა, რადგან პროცესი ძალიან შორს არის წასული. იგი დაიწყო 1978 წელს, იმ დღეს, როცა საბჭოთა კავშირის არმია შევიდა ავღანეთში...

**— საფრანგეთში განხორციელებული ტერაქტის შემდეგ ელოდებით ისლამური ხალიფატის გაძლიერებას?**

— ყველაფრის მიუხედავად, ისლამური ხალიფატის გაძლიერებას აღარ ველოდები. ქვეყანა, რომელიც აწარმოებს საბრძოლო მოქმედებებს და არა აქვს საბრძოლო ტექნიკა, უპირველესად ავიაცია, მისი მოძლიერება გამორიცხულია, იდეოლოგიური — კი, ბატონო... თუმცა ისლამური სალაფიტის ზოგიერთი ქცევა ბევრ მუსლიმანს მისგან განდგომის სურვილს უჩენს, განსაკუთრებით, გაუგებარი სისასტიკე ასევე მუსლიმების წინააღმდეგ. მაგალითად, სალაფისტები მიიჩნევენ, რომ სხვა მუსლიმები არ არიან ნამდვილი მუსლიმები. სიმბოლურია, რომ პარიზის ტერაქტის დროს ერთ-ერთი ტერორისტი გააუვნებელყო სირიელმა, ანუ ერთმა მუსლიმანმა შეუშალა ხელი მეორე მუსლიმანს.

სამწუხაროდ, ცივილიზებული სამყარო რეაგირებს მხოლოდ „ეფექტურ ტერაქტზე“, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ არანაკლებ მასშტაბური ტერაქტი მოხდა ბეირუთში, კენიაში, პაკისტანში, ინდონეზიაში... დარწმუნებული ვარ, ტერაქტების სერია გაგრძელდება სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ეფექტურობით და ეს დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც მსოფლიოშია შექმნილი.

**— რატომ მაინცდამაინც პარიზი, რის მიხედვით ირჩევენ ტერორისტები საფრანგეთს?**

— პარიზი სუსტი წერტილია და არა იმიტომ, რომ სპეცსამსახურები ჰყავს ცუდი, არამედ იმიტომ, რომ საფრანგეთმა დაუშვა მნიშვნელოვანი შეცდომა, როცა საკუთარი ქვეყნის კარი ფართოდ გააღო. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება გახდა ძალიან ადვილი. ამის საფუძველი იყო ერთგვარი ლიბერალური მიდგომა და „ბოდიშის აქცია“ ყოფილი კოლონიების მიმართ. ადამიანის უფლებები, ტოლერანტობა მნიშვნელოვანი ფასეულობებია, მაგრამ, ფაქტობრივად, ამას შეეწირა ფრანგი ხალხის უსაფრთხოება. ინტეგრაცია იმ ადამიანებისა, რომლებიც მასობრივად მიაწყდნენ საფრანგეთს, არ მომხდარა. ამას ემატება უმუშევრობა, კრიმინალი... რამაც ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა პოლიტიკური ისლამის მესვეურთათვის.

**— რადგან მიგრანტებზე საუბრობთ, რამდენად ემუქრება მსგავსი საფრთხე საქართველოს. ვართ თუ არა დაცული ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილებისგან?**

— ჩვენთან ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილების თემა ასე თუ ისე კონტროლქვეშაა. ამ წლების განმავლობაში სულ 120-მა კაცმა მიიღო ცხოვრების უფლება და 1000-მდე მოლოდინშია. საქართველოში, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში მოქალაქეობის მიღების პოლიტიკა გამკაცრებულია. კონტროლს, პროცესს აქვს მნიშვნელობა, შეიძლება, ვიღაც შემოგეპაროს, მაგრამ ეს მასობრივად არ უნდა მოხდეს, როგორც საფრანგეთის შემთხვევაში. როგორც დაღუპული და დაკავებული ტერორისტები, ისე ეჭვმიტანილებიც, 7 თუ 8 ქვეყნის მოქალაქეები არიან.

**— პარიზის ტერაქტებს მესამე მსოფლიო ომსაც კი ადარებენ...**

— ვფიქრობ, რომ, ომი უკვე მიმდინარეობს... მესამეს დავარქმევთ, თუ სხვა სახელს დავარქმევთ, ომი ომია! და ყოველდღიურად ახალი ქვეყნები ერთვება ამ ომში. მაგალითად, საფრანგეთი, რომელიც ნომინალურად მონაწილეობდა, დღეიდან უკვე გააქტიურდა და მასშტაბურად ჩაერთო. ის ბომბავს ისლამისტური ორგანიზაციების პოზიციებს. როგორც ჩანს, საფრანგეთის დაზვერვას ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ კარგად აქვს ნამუშევარი, რადგან პირველივე საავიაციო დარტყმები წარმატებული აღმოჩნდა. ალბათ, აქამდეც შეეძლოთ, გარკვეული პოლიტიკური კონიუნქტურა რომ არა.

**— გამოდის, რომ პარიზის ტერაქტმა ვიღაცას ხელი გაუხსნა...**

— დიახ, სამწუხაროდ, ასე გამოდის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დღევანდელი საფრანგეთისთვის „ხელის გახსნის“ თვალსაზრისით, ცუდი რამ არ მოხდა. მოდით და ვთქვათ, ვის აწყობდა ტერაქტი? საფრანგეთის ხელისუფლებას, ფრანგ ნაციონალისტებს... ამერიკის შეერთებულ შტატებს იმისთვის, რომ შეეჯანჯღარებინათ პასიური ევროკავშირი . რასაკვირველია, რუსეთსაც ხელს აძლევს ეს ყველაფერი... პუტინი ხდება ბუნებრივი მოკავშირე ცივილიზებული სამყაროსი, რომელსაც უკრაინის მოვლენების გამო დაშორდა. ახლა ერთი მტერი ჰყავთ! სპარსეთის ყურის ქვეყნებსაც უნდათ, მუსლიმები მიმართული იყვნენ ევროპისკენ, რათა დაასუსტონ დასავლეთი...

**— საქართველოში რა პროცესები შეიძლება განვითარდეს, როცა გვაქვს სერიოზული „ცხელი წერტილი“ — პანკისის ხეობა, ქვემო ქართლი, აჭარა...**

— პანკისის ხეობაში ცხოვრობს სულ 8 ათასი ადამიანი. ვინც ამ რაოდენობის ადამიანებს ვერ მოუვლის, ის სახელმწიფო არ არის. იქ ყველა არ არის სალაფიზმის მომხრე, თვითონ ჯამაათებს შორისაც არაერთგვაროვანი პოზიციაა. ასე რომ, ნუ შევქმნით მტრის ხატს პანკისის ხეობისგან. ჩემი აზრით, ბევრად უფრო საშიშია სხვა მომენტები, რომელსაც ნაკლები ყურადღება ექცევა. მაგალითად, ჯიჰადის მხარდამჭერი საქართველოს მოქალაქე სალაფისტები იყოფიან ორ ჯგუფად: ერთნი — რომელნიც იარაღით ხელში იბრძვიან სირიასა და ერაყში (მათი რიცხვი 100-120 კაცს არ აჭარბებს) და მეორე — იდეოლოგიური ფრონტის მეომარნი. ისინი სპარსეთის ყურის ქვეყნების სხვადასხვა სასწავლებელში სწავლობენ. არიან საკმაოდ კარგი სტუდენტები. ქმნიან ინტერნეტ-საიტებს, ავსებენ კარგი ქართულით დაწერილი მასალებით და მართავენ. ამ გზით იდეოლოგიურად ამუშავებენ ახალგაზრდებს.

**— შეიძლება, ერთი საიტი მაინც დაასახელოთ?**

— დიახ. „ისლამური ხალიფატი — საქართველო“. ნუ დამასახელებინებთ გვარებს, მაგრამ გეტყვით, რომ ამ საიტის ხელმძღვანელები არიან ეთნიკური ქართველები, ოღონდ მუსლიმები... წარმოშობით აჭარიდან, წალკის რაიონიდან და საქართველოს სხვა კუთხიდან. სპეციალისტები, რომლებიც ამ საქმით იყვნენ დაკავებულნი, საიტიდან საიტზე დასდევდნენ მათ. მოკლედ, ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა... თუმცა, ჩემს მიერ დასახელებული საიტი უკვე რამდენიმე თვეა მოქმედებს და უპატრონოდ არის მიტოვებული. არადა, ჩემი აზრით, „ისლამური ხალიფატი — საქართველო“ არის კლასიკური იდეოლოგიური დივერსიის ორგანო. იქ არ არის აგრესია, მაგრამ არის ახსნა ისეთი, როგორიც ხელს აძლევს იდეოლოგებს.

**— „გურჯისტანის ვილაიეთის“ შექმნის შესახებ რა ინფორაციას ფლობთ?**

— ვერ გეტყვით. ეს გავრცელდა ფრანგული მედიიდან და არის თუ არა რეალური, გაირკვევა. რაც შეეხება კავკასიის ვილაიეთს, ის უკვე არსებობს, სადაც ყველა ჩვენ ვცხოვრობთ დღეს. მოხდება თუ არა საქართველოში ტერაქტები? — ამის თქმა პირდაპირ როგორ შეიძლება. მაგრამ თუ შესაბამისი ბრძანება იქნება გაცემული, ჩემი ვერსიით, თავდასხმის ობიექტები იქნება უცხოეთის საელჩოები ან სხვა ტიპის უცხოური ორგანიზაციები იმ ქვეყნებისა, რომლებიც კოალიციაში მონაწილეობენ, ანუ აქცენტი გაკეთდება არა ხალხის დასჯაზე, არამედ დაფიქსირდება აქტიურობა... ასე რომ, საქართველო უკვე მოიაზრება იმ სივრცეში, რასაც ჰქვია საერთაშორისო ტერორიზმი, პოლიტიკური ისლამი და ა. შ. საქართველოს ხელმძღვანელობა აღიქმება მტრად, ოღონდ, რა თქმა უნდა, პასიურ მტრად.

**— საქართველოდან წასული ლიდერები წარმოადგენენ თუ არა საფრთხეს ჩვენი ქვეყნისთვის?**

— გვარის დასახელებას ნუ მომთხოვთ, თუმცა, ერთ-ერთ ლიდერზე აბსოლუტური თავდაჯერებულობით შემიძლია ვთქვა, რომ ის საქართველოზე ხელს არ აღმართავს არასოდეს!!! ამის ძალიან სერიოზული საფუძველი მაქვს. მაგრამ, ეს ნამდვილად არ გვაძლევს დამშვიდების საფუძველს... ნუ ვილაპარაკებთ ჩვენი სპეცსამსახურების პროფესიონალიზმზე ან არაპროფესიონალიზმზე, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანას ტერორიზმთან ბრძოლის გამოცდილება არა აქვს, აქამდე არ ჰქონია ამ სენთან შეხება. ჩვენ უნდა ვითანამშროლოთ მეზობლებთან — აზერბაიჯანთან, თურქეთთან, რუსეთთან... ინფორმაციის გაცვლის კუთხით. კარგი უნარ-ჩვევები აქვს ისრაელის სპეცსამსახურებს, რისი გაზიარებაც აუცილებელია. ასევე საჭიროა, ვიპოვოთ დასაყრდენი ადგილობრივ მუსლიმებში. ამის დიდი შანსი გვაქვს, რადგან რესურსი არსებობს.

რაც მთავარია, მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს საქართველოდან ახალგაზრდა მუსლიმების გასვლა, განსაკუთრებით საეჭვო ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში. აქვე უნდა გაკეთდეს უმაღლესი ლიცენზირებული სასწავლებელი მათთვის, ვისაც უნდა რელიგიური კუთხით განათლების მიღება. განათლების სამინისტრო ასეთი დონის სასწავლებლის შექმნაზე უკვე მუშაობს. ჩემი აზრით, მსგავსი პრევენციული ღონისძიებები ეფექტიანად იმოქმედებს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზე...

ესაუბრა
**თეა მოსია**



## ნაციონალთა მანიპულაციები

# ნარკოტიკები ხმის მიცემის სანაცვლოდ

**პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ პარლამენტში სპეციალური ბრიფინგი გამართა და ნაციონალური მოძრაობის 2010-2012 წლების წინასაარჩევნო დაპირებებზე ისაუბრა. საქმე ეხება სოციალურად დაუცველთა რაოდენობის დინამიკას არჩევნების მიხედვით და ასევე, კოდეინის შემცველი პრეპარატების იმპორტის ზრდას, რასაც თან მოსდევს ქვეყანაში პრობაციონერთა რაოდენობის ზრდაც.**



**„მასალები, რომელიც გავაცანი საზოგადოებას, ადასტურებს იმ ფაქტს, რაზედაც ჩვენ არაერთხელ გაგვიკეთებია კომენტარი. ნაცმოძრაობა მთელი თავისი მმართველობის პერიოდში წინასარჩევნოდ ყველანაირ მანიპულაციას იყენებდა. მე გავასაჯაროვე ის ფაქტები, რაც უშუალოდ ჩემს სფეროს ეხება — სოციალურ მიმართულებას და ნარკოპოლიტიკას. წარმოვადგინე სტატისტიკური მონაცემები, თუ როგორ იზრდებოდა სოციალურად დაუცველთა რაოდენობა არჩევნების მიხედვით. მაგალითად, 2010 წელს სოციალურად დაუცველთა რაოდენობა 350 000-მდე გაიზარდა, ხოლო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის 500 000-ს გადასცდა. სტატუსის გაცემის ქრონოლოგია ზედმიწევნით მისდევს არჩევნების მოახლოებას. ეს არის არჩევნებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკა საარჩევნო ხმების მისაღებად და არა საკუთარი მოსახლეობის მდგომარეობის გამოსასწორებლად“, — განაცხადა ხუნდაძემ.**

**რაც შეეხება ნარკოპოლიტიკას, მისი თქმით, პირადად მისთვის შოკისმომგვრელი იყო ის ფაქტი, როდესაც გაეცნო კოდეინის შემცველი პრეპარატების იმპორტის ზრდის ტემპს არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით.**

**„2010 წელს საქართველოში შემოტანილი იყო 6 მილიონი ერთეული, ხოლო 2012 წელს ამ ნიშნულმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და 14 მილიონამდე გაიზარდა. პარალელურად ამ პერიოდში იზრდება პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობაც და 2012 წლის აგვისტოს თვის მონაცემებით 40 500 აღწევს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 2014 წელს საქართველოში შემოტანილ იქნა მხოლოდ 5 400 ერთეული კოდეინის შემცველი პრეპარატი სამედიცინო დანიშნულებისთვის და ეს მარაგი დღემდე არ ამოწურულა. ამ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოფილი ხელისუფლება ნარკოპოლიტიკასაც არჩევნების მიხედვით ცვლიდა. არჩევნების მოახლოებასთან ერთად ზრდიდნენ ნარკოტიკული საშუალებების იმპორტს საქართველოში. ამით, ერთი მხრივ, აკმაყოფილებდნენ ნარკოტიკებზე დამოკიდებულთა მოთხოვნას და, მეორე მხრივ, მათივე საშუალებით ზრდიდნენ პრობაციონერთა რაოდენობას. ეს კი ამ კატეგორიაზე კონტროლის მოპოვების საუკეთესო საშუალება იყო“, — აცხადებს ხუნდაძემ.**

**მისივე თქმით, ეს სტატისტიკური მონაცემები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ნაცმოძრაობა სახელმწიფო პოლიტიკას მხოლოდ საარჩევნო პოლიტიკაზე აგებდა და მოსახლეობაზე მანიპულირების ყველა საშუალებას იყენებდა, მათ შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თემებსაც.**

**ოღონდ აშშ-ის პრეზიდენტები ამ სენტენციის მართებულობაში ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე იყვნენ დარწმუნებულები და გამონაკლისი არც აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი ბარაკ ობამაა.**

ამერიკელი ერის, გნებავთ, ნაციის განსაკუთრებულობაში ბარაკიც დარწმუნებულია და, აქედან გამომდინარე, „ამერიკული დემოკრატიის" მთელს მსოფლიოში ექსპორტის (სადაც საჭიროა, ცეცხლითა და მახვილითაც) განსაკუთრებული მისიაც აიღო საკუთარ თავზე!..

სწორედ წერილის სათაურიდან გამომდინარე მოხდა პარიზში ის, რაც 13 ნოემბერს მოხდა, რამაც მთელი მსოფლიო შეძრა და რაც უფრო მნიშვნელოვანია: ევროპა არა მხოლოდ შეაძრწუნა პარიზის ტერაქტმა, არამედ სერიოზულად ჩააფიქრა... რაც არის კიდეც წინამდებარე წერილის მთავარი თემა, მაგრამ მანამდე მცირე ისტორიული ექსკურსი, რათა უკეთ გავიგოთ, თუ რატომ მოხდა ის, რაც მოხდა და ყველაზე მთავარი, რა მოხდება ხვალ თუ ფიქრებიდან საჭირო დასკვნებს არ გააკეთებს მთელი კაცობრიობა და არა მხოლოდ ევროპა...

დავიწყოთ იქიდან, რომ არავითარი ამერიკული ნაცია, მითუმეტეს ამერიკელი ერი, როგორც ასეთი, ბუნებაში არ არსებობს, რადგანაც შეუძლებელია, ერი და ნაცია უწოდო კოლუმბის შემდეგ ევროპიდან ამერიკაში გადაბარგებულ სხვადასხვა ეროვნების, ძირითადად, მკვლელების, ყაჩაღების, მეკობრეების „სბროდის" მემკვიდრე იანკებს, რომელთა მამა-პაპებმაც გენოციდი მოუწყვეს აბორიგენ ინდიელებს, ხოლო მათ მაგივრად აფრიკელი ზანგი მონებით გაავსეს მთელი აშშ!

**აშშ, რომელიც მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრდა გეოპოლიტიკაში, ნელ-ნელა იქცა დასავლეთის „თავისუფალი სამყაროს", გნებავთ, „დემოკრატიის" მთავარ მედროშედ, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჯერ ნახევარი ევროპის, ხოლო სსრკ-ის დაშლის შედეგად, მთელი სამყაროს ჟანდარმად იქცა!**

**მას შემდეგ აგერ მეოთხედი საუკუნეა, დანარჩენ მსოფლიოს გვასწავლიან, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ...**

თავად უმეტესად ულმერთონი, ან უკეთეს შემთხვევაში, სექტანტი მწვალებლები, მხოლოდ „კუჭის ფილოსოფიით" მცხოვრებნი (ანუ ჩემს შემდეგ ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა), მათ მიერ დაფინანსებული ე.წ. არა სამთავრობო ორგანიზაციები მიგვანიშნებენ, თუ რა უნდა გვძულდეს და რა გვიყვარდეს;

ერთი სიტყვით, გვიქადაგებენ, რომ მხოლოდ მამონია ღმერთი ჭეშმარიტი და დოლარია მოციქული მისი, და თუ გრანტიყლაპია „ასო"-ების გარჯამ უნაყოფოდ ჩაიარა და მაინც არ იწამე მათი ღმერთი, მაშინ ან ფერად რევოლუციებს მოგიწყობენ, ანდა უხეში სამხედრო ძალით შემოგივარდებიან სახლში და დაგიმყარებენ „მამონის დემოკრატიას" ისე, როგორც ავღანეთში, ერაყში, სერბეთში, ლიბიაში, ეგვიპტეში, ტუნისში, სირიაში, უკრაინაში და ა.შ. დაამყარეს „დემოკრატიული სამოთხე"...

თუმცა, რაღა შორს მივდივართ, მართალია, ჯერ არ დავუბომბივართ, მაგრამ ჩვენთან, საქართველოშიც ლამის იგივე არ არის?

სააკაშვილის რეჟიმში აღზრდილი ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი განა „კუჭის ფილოსოფიის", მამონის მონები არ არიან?

ილიასეული „მამული, ენა, სარწმუნოება" განა ფეხებზე არ ჰკიდიათ?

სამწუხაროდ, მარკ ტვენის, ჯეკ ლონდონის, ო' ჰენრის, მაინ რიდის და ა.შ. ერთი სიტყვით კეთილშობილი რაინდების, „კოვბოების" რომანტიული ამერიკა დიდი ხანია ისტორიის მოუსავლეთს ჩაბარდა და მისი ადგილი ლგბტ-პედერასტების ამერიკამ დაიკავა!

ეს, ისე, მცირე ლირიკული ჩანართი...

ახლა აშშ-ის მოკავშირე (წაიკითხე მონა) ევროკავშირის ჯერი დადგა, რომელმაც საკუთარი სუვერენიტეტის უმეტესი ნაწილი ნებაყოფლობით გადასცა აშშ-ს, ვისგანაც სამაგიეროდ საკუთარი უსაფრთხოების გარანტიები მიიღო!

მაგრამ...

სწორედ ზემოთ თქმული ამერიკული დემოკრატიის ექსპორტის შედეგია, რომ ევროპას მილიონობით ლტოლვილი მიაწყდა ე.წ. არაბული გაზაფხულების ქვეყნებიდან...

**ამის გამო თქვა ა.წ. 29 სექტემბერს გაეროს საიუბილეო ასამბლეის მაღალი ტრიბუნიდან რუსეთის პრეზიდენტმა დასავლეთის (წაიკითხე აშშ) მისამართით — „ვი ხოტ ზნაეტე, ჩტო ნატვარილი", რაც კალკილებური თარგმანით უწყინარ — „იცით კი, რა ჩაიდინეთს" ნიშნავს, მაგრამ კონტექსტის გათვალისწინებით, შინაარსობრივად, უკაცრავად და, „რა დედითქვენის მიირთვითო", ამას უფრო ჰგავს!**




# ის, რაც კარგია ამერიკისთვის, ყველასთვის კარგია?..

ასე იყო თუ ისე, ვლადიმერ პუტინმა თავისთვის ჩვეული პირდაპირობით სათქმელი თქვა და, ისე რომ პასუხსაც არ დაელოდა, მეორე დღესვე შეუდგა სირიაში ამერიკელთა „ნატვარილის" გამოსწორებას და გასულ ორ თვეში რუსეთის ავიაკოსმოსურმა ძალებმა ისეთი ძალის და სიზუსტის დარტყმები მიაყენა ისლამურ ხალიფატს, როგორიც აშშ-მა 2 წლის მანძილზე „ვერ მოახერხა" — დიახ, წინწკლებში, რადგან ისლამური ხალიფატი, ისევე როგორც „ალ-ქაიდა" და სხვა ტერორისტული ორგანიზაციები აშშ-ის ერაყში შეჭრის შედეგად შეიქმნა და დღეს იგივე ისლამურ ხალიფატს ვითომ პენტაგონის ხელით ებრძვის აშშ, მაგრამ მეორე, სპეცსამსახურების ხელით აფინანსებს და აძლიერებს, რათა ეს ძალა დაუპირისპიროს ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკაში დაბრუნებულ რუსეთს!

ასეთი ძალების აშშ-ის კონტროლქვეშიდან გამოსვლის მაგალითები, თუნდაც იგივე ალ-ქაიდას და ბენ ლადენის სახით უკვე ვნახეთ და გამონაკლისი არც ისლამური ხალიფატი აღმოჩნდა...

**ჰოდა, აი შედეგიც: ჯერ იყო და, ა.წ. იანვარში ალაჰის მოციქულ მუჰამედზე უხამსი კარიკატურების ავტორი „შარლის" რედაქცია დახვრიტეს, რასაც ევროპამ, იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოეხადათ მთელი ისლამური სამყაროსთვის და არა ხალიფატის მკვლელებისთვის, აქაოდა ე.წ. გამოხატვის თავისუფლებას ვერავინ დაგვიშლისო, „მე შარლი ვარ" სკანდირებით, ფრანსუა ოლანდისა და ფრაუ მერკელის მეთაურობით ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურებმა ელისეს მინდვრები დემონსტრაციულად ჩაიარეს და პარიზის ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო!**

თუმცა მხოლოდ ტერორისტული აქტი უწოდო იმას, რაც პარიზში 13 ნოემბერს მოხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერი თქვა, რადგანაც ეს უკვე ნამდვილი ომის დასაწყისია უსასტიკეს ხალიფატსა და დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროს შორის!

ამის გამო ანტალიაში გამართულ დიდი ოცეულის სამიტზე, რუსეთის პრეზიდენტმა ბარაკ ობამას უკვე მერამდენედ შესთავაზა ხალიფატის და, ზოგადად, სხვა ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ საბრძოლველად, მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშიზმის წინააღმდეგ შექმნილი კოალიციის მსგავსად, ერთიანი კოალიციის შექმნა და კვლავ უარი მიიღო, რადგანაც აშშ-ს ისლამური ხალიფატი კი არა, რუსეთის წარმატებები ადარდებს სირიაში, რის გამოც სულ უფრო დიდად პოპულარული ხდება ვლადიმერ პუტინი თვით აშშ-ის მოკავშირე ევროპის ქვეყნებშიც კი!

საერთოდაც უნდა ითქვას, რომ გასული საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე დღემდე, აშშ-ის უპირველესი მიზანი რუსეთის სახელმწიფოს დაშლა დაქუცმაცება და პოლიტიკური რუკიდან წაშლა იყო და არის!

ჯერ მეფის რუსეთი არ მოსწონდათ და ამიტომაც მოუწყვეს პირველ მსოფლიო ომში პრაქტიკულად გამარჯვებულ რუსეთის მართლმადიდებელ მონარქიას ჯერ 1917 წლის თებერვლის რევოლუცია და შემდეგ, იმავე წელს, ბოლშევიკური გადატრიალება, რაშიც სხვებთან ერთად აშშ-ის უოლსტრიტმაც ლომის წილი დაიდო და თითქოს მიაღწიეს კიდეც მიზანს — მართლმადიდებელი მონარქია დაემხო, მაგრამ დიდმა სტალინმა, რომ იტყვიან, ფერფლიდან აღადგინა რუსეთი და ცარისტულ რუსეთზე ბევრად უფრო მძლავრი წითელი იმპერია შექმნა!

ჰიტლერული გერმანიაც მასონური ძალების მიერ შექმნილი იყო ამჯერად ბოლშევიკური რუსეთის დასამხობად, მაგრამ ისლამური ხალიფატისა არ იყოს, ფაშისტური გერმანიაც შემქმნელთა კონტროლიდან გამოვიდა და ლამის მთელი ევროპის დაპყრობის შემდეგ, როდესაც საკუთარ შემქმნელებს მიადგა ჩასაყლაპად, მაშინ მოვიდნენ აზრზე ბრიტანეთი და აშშ, ეს რა „ნატვარილიო" და ისევ სტალინს მიადგნენ, არიქა, ერთად დავამარცხოთ ფაშიზმიო!

იგივე მოხდა სსრკ-ის დაშლის შემდეგ და აგერ მეოთხედი საუკუნეა, დაუსჯელად პარპაშებდა აშშ-ის იმპერია, მაგრამ განგებამ რუსეთს ამჯერად ვლადიმერ პუტინი მოუვლინა მხსნელად და ეს უკვე მერამდენედ აშშ-ს „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა" — რუსეთი ძლევამოსილად დაბრუნდა დიდ პოლიტიკაში!

ამერიკული ცინიკური ანდაზაა — „კარგი ინდიელი მკვდარი ინდიელიო" და, აქედან გამომდინარე, პერიფრაზით გამოვა, რომ ამერიკელებისთვის კარგი რუსეთი დაშლილ-დაქუცმაცებული რუსეთია, მაგრამ არა და არ იქნა ამ ამერიკული ოცნების ახდენა!

მაგრამ დავუბრუნდეთ ევროპას და, კერძოდ, პარიზს...

**როგორც ერთმა პოლიტოლოგმა ამ დღეებში შენიშნა, ევროპა, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პრაქტიკულად აღარ არსებობს და ის მხოლოდ ამერიკელთა ხუშტურების ასასრულებელი ობიექტია!**

თუმცა იყო ერთი მცდელობა იგივე პარიზის მხრიდან აშშ-ის დიქტატიდან გამოსვლისა, როდესაც გენერალმა შარლ დე გოლმა ამერიკის სანაპიროს დოლარებით დატვირთული 2 გემი მიაყენა და ბანკნოტზე აღნიშნული ოქროთი გარანტია ძვირფასი ლითონის სახით მოითხოვა და მიიღო კიდეც ტონობით ოქრო საფრანგეთის ხაზინამ!

ამის შემდეგ გაქრა დოლარის მწვანე ბანკნოტებზე მსგავსი წარწერა...

შემდეგ იყო და, ანტისტალინური ისტერიით მოცულ მოსკოვში ვიზიტისას, ლეონიდ ბრეჟნევს კატეგორიულად მოსთხოვა სტალინის საფლავთან მიყვანა, სადაც ყვავილებით შეამკო ფაშიზმის დამმარცხებელი გენერალისიმუსის საფლავი და იქვე მხედრული სალმით გაიჭიმა „სმირნაზე" და შემდეგ, როდესაც ბაიკონურის დათვალიერებისას მაკეტი-რუკაც უჩვენეს, სადაც სხვა დედაქალაქებთან ერთად, პარიზზეც იყო დამიზნებული საბჭოთა ბირთვული რაკეტები, პარიზში დაბრუნებულმა დე გოლმა საფრანგეთი ნატოს სამხედრო ბლოკიდან გამოიყვანა?!

ეს კი აღარ აპატიეს დიდ ფრანგს ამერიკელებმა და ე.წ. სტუდენტური ბუნტი მოუწყვეს საფრანგეთის გადამრჩენელ გენერალს, რომელიც ამ ბუნტის გამო გადადგა პრეზიდენტის თანამდებობიდან და თანამემამულეთაგან შეურაცხყოფილი, საკუთარ მამულში მალე გარდაიცვალა კიდეც!

**„ზოგი ჭირი მარგებელიაო", ქართული ანდაზაა და ისტორია შეიძლება განმეორდეს, რადგან პარიზზე ტერორისტულმა შეტევამ ლგბტ-პედერასტების პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის რეიტინგი მნიშვნელოვან წილად დასცა და, შესაბამისად, მარინ ლე პენის რეიტინგმა იმდენად აიწია, რომ მისი პრეზიდენტობა მომავალ არჩევნებში თითქმის უეჭველია!**

**ეს კი ერთსქესიანი ქორწინებების ფრანგული სირცხვილის დასასრულს, ემიგრანტების უპრაგონოდ მიღების, ამერიკის ვასალობიდან გამოსვლას და რუსეთთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას ნიშნავს!**

პარიზის ტერაქტი ევროკავშირის სხვა ქვეყნების ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური, კონსერვატიული ძალების გაძლიერებასაც გამოიწვევს და ვინ იცის, იქნება ბებერ ევროპას ისიც გაახსენდეს, რომ ნამდვილი ევროპული ღირებულებები არა ლგბტ-პედერასტობაა, არამედ სხვა უფრო მაღალი რამ, ქრისტიანულ მორალსა და ზნეობაზე აღმოცენებული კულტურა და ტრადიციული ცხოვრების წესია!

ჰოდა, გაუმარჯოს ასეთ ევროპას, მითუმეტეს რომ ასეთ ევროპაში რუსეთიც მოიაზრება...

**დავით მხეიძე**

## კაკალ გულში

## წრიაპინიანი ფიაზები

**„ჩორთით,**
**ოთხით,**
**თოხარიკით,**
**უხალისოდ თუ ხალისით..."**

**გაეშურნენ მობუზული დოლიძელი პენსიონერები დამსახურებული, გააააააზრდილი პენსიის ასაღებად (რომლის ჩარიცხვის შესახებაც, ღამის ორ საათზე (!) მესიჯით გაგვაღვიძეს და დაგვაფეთეს), მაგრამ როგორც ექსპრეზიდენტი იტყოდა: ნურას უკაცრავად! — დოლიძის ქუჩაზე მოთავსებულ ბანკომატს ამშვენებდა წარწერა: „არ მუშაობს", ხოლო ბანკის სუპერმარკეტ „ლიდია"-ში მდებარე ფილიალს: „დაკეტილია ერთი კვირით"!**




**მადლობა ლიბერთი ბანკი ხალხზე და განსაკუთრებით პენსიონერებზე ზრუნვისათვის!**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

◉ სათქმელი უნდა ითქვას

# გვარამიას მძევლები უნდა და არა ჟურნალისტები



**აი უკვე მერამდენე კვირაა, იმის შიშით, რომ ეკრანიდან თავის ცხვირპირდამშვენებული ბლანჟეთი ისევ ნიკა გვარამია არ გამოხტეს, ტელევიზორი ვეღარ ჩამირთავს. არადა, ყველა არხზე, ყველა საინფორმაციო თუ სათოქშოუე, პროგრამაზე, „რუსთავი-2“-ის ირგვლივ დატრიალებული „ტრაგედიის“ გამო, არა მარტო საქართველოში, მთელ დუნიაზე ისეთი ქარიშხალი და ცუნამია აზვირთებული, რომ თუ ზემოდან არსთა გამრიგე დროულად არ ჩაერია, ამას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პერმანენტული შეშფოთება თუ ევროპის „სახალხო პარტიის“ პირმიშვებული კრიტიკაც ვეღარ უშველის, მალე დედამიწა გაჩერდება და თავისუფალი გამოხატვის საკაცობრიო მონაპოვარი აპოკალიფსის წინაშე აღმოჩნდება.**

არ გაგიკვირდეთ, ხალხო, ეს საფრთხე ჩემ მიერ კი არა, თავად ჩვენებური ნაცების მიერ შეთხზული ზღაპარია. ჩემი შეხსენება ვის რაში სჭირდება, დღესაც ყველას ახსოვს, ყოფილი გენპროკურორის მოადგილე ნიკა გვარამია, ამჟამად თავისუფალი სიტყვის მებაირახტრედ რომ გაგვეჩითა, თავის დროზე ტელეეთერით როგორ დგამდა მოდელირებულ სპექტაკლებს, როგორ გვარწმუნებდა, ვინც ნაცების მხარეზე არ არის, ყველა რუსეთის აგენტი და სამშობლოს მოღალატეაო. ახლა ეს ნამუსნაღრძობი კაცი რომ ადამიანის უფლებების დაცვასა და სიტყვის თავისუფლებაზე გველაპარაკება, განა სასაცილოდ არ გეჩვენებათ?!

არც ის დაგვვიწყებია, 2003 წელს განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება ნაცებმა „ვარდების რევოლუციად“ რომ მონათლეს და არც ის, ამ გადატრიალების იდეურმა იარაღმა „რუსთავი-2“-მა თავი „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიად“ რომ შეგვასაღა. ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ჩვენმა ნაპრეზიდენტალმა და ამჟამინდელმა ოდესის გუბერნატორმა სააკაშვილმა პირდაპირ მისცა დავალება თავის „ნამესტნიკებს“ – გიგა ბოკერიას, ნიკა გვარამიას, გივი თარგამაძეს და სხვებს, „რუსთავი-2“-ის შემოგარენში ააგონ რკინის ბარიკადები, დაიცვან არხი მოძალადე ხელისუფლებისგან, თუნდაც ეს ქვეყანას სისხლის ფასად დაუჯდეს.

უკრაინული „ვიკილიკსის“ მიერ ჩაწერილი ზემოთ ჩამოთვლილი პერსონების ნაპრეზიდენტალთან საუბრები იმდენად ღიად და გამჭვირვალედ გამოიყურებოდა, რომ მისმა ავტორებმა საკუთარი გამყიდველობის ნამდვილობაზე ეჭვის მიტანაც კი ვეღარ გაბედეს.

> **ნაცებმა ერთხელ უკვე გააცუცურაკეს ხალხი და მეორეჯერ აღარ გამოუვათ. ახლა რომ გვაშინებენ, ხელისუფლება, პირადად ივანიშვილი და ღარიბაშვილი „რუსთავი-2“-ში შევარდნას აპირებენო, ამას რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, ამ მთავრობას შეიძლება ბევრი რამ უსაყვედურო, „უქნარობაც“ კი დასწამო, მაგრამ სხვათა საკუთრებაში შევარდნა-დაყაჩაღებას მაინც ვერ დააბრალებ.**

ამის გამო აღფრთოვანება ვერ დამალა თავად ნაცების ქლესა ოქროპირმა ვანო ჯავახიშვილმაც კი, რომელმაც შოუს მსვლელობისას განაცხადა: პირდაპირ გაკვირვებული დავრჩი, ეს ჩვენი უენაპირო გივი თარგამაძე, აქ რომ ვერაფერს გვაგებინებს, მიშასთან როგორ გამართულად და ენამოქარგულად ჭყლოპინებდაო.

სამაგიეროდ, სიტყვაძუნწობდა ნიკა გვარამია (რა ვიცი, ივანიშვილის სალანძღავად ენა პირში აღარ ეტევა ხოლმე და...), რომელმაც ძლივსძლივობით ამოღერღა: მიშა უფროსო, რა ვქნა, ძალიან მერიდება, მაგრამ რასაც გვავალებ, მაგის შესასრულებლად თანხები დაგვჭირდებაო. შეფთან კი დაიმორცხვა, მაგრამ მერე აქეთ გამოხტა და თავი შეგვაცოდა: ხალხო, თითო ლარი შეგვაწიეთ, თორემ არხი დაიხურება და თავისუფალ სიტყვას საფრთხე დაემუქრებაო.

ნაპროკურორალის ამ ღაღადისის მერე ვიღაცამ „რუსთავი-2“-ის სახელფასო უწყისები ამოსწია და გაგვახარა: ხალხო და ჯამაათნო, აი ნახეთ, ეს უნამუსო ნიკა გვარამია, თავს რომ გვაცოდებს, უსახსრობით ვიხურებითო, თურმე ყოველთვიურად ათეულობით ათას ლარს იჯიბავს. არადა, თუ მართლა პირშავი არ არის ეს ტარტაროზი ნიკა, ადგეს და გასაკოტრებლად განწირულ ტელეარხს თავად დაეხმაროს.

ამ საქმეში საკუთარი თავის არა, მაგრამ გვარამიას სიფათზე ემჩნევა ხოლმე, რომ უცხოელი სატელიტების უფრო ეიმედება. რატომაც არა, ამის დასტურად არა ერთი და ორი მაგალითი გამოდგება. ახლა ვითომ ამ ხელისუფლებისა რომ ეშინიათ, ტელეარხში შემოგვივარდებიან და დაგვარბევენო, რატომ იმას არ იხსენებენ, სააკაშვილის ნაცბანდამ „იმედი“ როგორი სისასტიკით დაარბია, ან კიდევ „იბერიაში“ რომ შეცვივდნენ, სროლა ატეხეს და მთელი ჰოლდინგი წაართვეს პატრონს. მაშინ ჩვენ რატომლაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და იქაური ელჩის აღშფოთებული განცხადებები არ მოგვისმენია, ყველაფერი წყნარად და მშვიდად მიაჩუმათეს.

კიდევ ვისი იმედი შეიძლება იქონიონ მიშას ნარჩენებმა? ამ შემთხვევაში ზოგი ხელს საკონსტიტუციო სასამართლოსკენ იშვერს, რომელსაც გადაწყვეტილებები რატომლაც ყოველთვის ნაცმოძის სასარგებლოდ გამოაქვს. რაც შეეხება ხალხს, უკვე აღარ ტყუვდება, მან ერთხელ და სამუდამოდ ჩაიქნია ხელი ნაცებზე, რომლებსაც საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ სალაშქროდ გამჩენი არ ასვენებს.

დიახ, ნაცებმა ერთხელ უკვე გააცუცურაკეს ხალხი და მეორეჯერ აღარ გამოუვათ. ახლა რომ გვაშინებენ, ხელისუფლება, პირადად ივანიშვილი და ღარიბაშვილი „რუსთავი-2“-ში შევარდნას აპირებენო, ამას რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, ამ მთავრობას შეიძლება ბევრი რამ უსაყვედურო, „უქნარობაც“ კი დასწამო, მაგრამ სხვათა საკუთრებაში შევარდნა-დაყაჩაღებას მაინც ვერ დააბრალებ. დარწმუნებული ვარ, ეს არც თავად ნაცებს სჯერათ, მაგრამ მამაზეციერს ისინი მორიელებად ჰყავს გაჩენილი და მოკეთის დაკბენას ვეღარ გადავაჩვევთ. ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, ისინი სამშობლოში დარჩებიან და საზღვარგარეთ გადაიხვეწებიან, სულერთია, დაგესვლას მაინც არ შეეშვებიან.

მათი ეს მორიელური საქციელი სრული სისავსით გამოვლინდა „რუსთავი-2“-თან მიმართებაშიც, როცა გვარამია და ძმანი მისნი ტელეკომპანიას და მის ჟურნალისტებს ვითომ თავისუფალი სიტყვის დასაცავად, სინამდვილეში კი მათ მძევლებად და პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იყენებენ. ცხადია, ნაცები არავითარ შემთხვევაში არ იბრძვიან საკუთარი ჟურნალისტების ინტერესების დასაცავად. თავად განსაჯეთ, როცა ჟურნალისტებს საკუთარი პოზიციის გამოთქმის უფლება არა აქვთ (ცხვრებივით დგანან და ისმენენ გვარამიას მონოლოგებს), იქ რა თავისუფალ სიტყვაზე შეიძლება საუბარი?

არა მგონია, რუსთავიორელებმა, რომლებსაც თავი მაღალპროფესიონალებად და დამოუკიდებელ ჟურნალისტებად მოაქვთ, ამას ვერ გრძნობდნენ და ვერ ხედავდნენ, მაგრამ რატომლაც სიმართლის თქმას ისევ დუმილს ამჯობინებენ. მათ არ უნდათ აღიარონ, რომ ნაცების პოლიტიკის ქვეშ მოქცეული ჟურნალისტი უკვე პოლიტიზებული ჟურნალისტია, რომ თავისუფალი სიტყვის ავტორი შეიძლება იყოს მხოლოდ თავისუფალი ჟურნალისტი.

დარჩებით ნაცების, სააკაშვილის, გვარამიასა და ბოკერიას მძევლებად თუ იქნებით ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, თავისუფალი სიტყვისთვის მებრძოლი თავისუფალი ჟურნალისტები, ეს უკვე თქვენი გადასაწყვეტია, რუსთავიორელებო. თუ ამ ნაბიჯს გადადგამთ, მერწმუნეთ, ყველა ღირსეული ჟურნალისტი თქვენს გვერდით დადგება.

**ოთარ ხუციშვილი**

◉ წერილი რედაქციას

# ჩვენი შვილები საიმედო ხელში არიან. ამისთვის მადლობა ქალბატონ ნინო მეტრეველს



**ძვირფასო ნინო მასწავლებელო!**

**თქვენი მოსწავლეების მშობლებმა გადავწყვიტეთ, რომ უსაზღვრო მადლიერება, რაც თქვენს მიმართ გვაქვს თითოეულს, ღია ბარათით გამოვხატოთ.**

**სამწუხაროა, რომ თანამედროვე დროში, სამადლობელი ღია ბარათები შეცვალა გლობალურ ქსელებში გამოქვეყნებულმა ე. წ. „პოსტებმა“ და „მოკლე ტექსტურმა შეტყობინებებმა“. ჩვენი სათქმელი თქვენი კეთილშობილური თვისებების წარმოჩენაა მხოლოდ, რაც მეტ ყურადღებას იმსახურებს...**

**იმის აღიარება, რომ მშობლებისთვის შვილების აღზრდა უმნიშვნელოვანესია – სიახლეს არავისთვის არ წარმოადგენს, მაგრამ თუ ამ საპასუხისმგებლო საქმეში ჩართული ადამიანები თქვენსავით აკადემიურნი იქნებიან, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია.**

**ქალბატონო ნინო, თქვენ პროფესიული ალღო და დიდებული ადამიანური თვისებები, რაც ჩვენი შვილების აღზრდის საქმეს ემსახურება, თვით უფლისგან გაქვთ მომადლებული. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი შვილები საიმედო ხელში არიან, რადგან თქვენ არსებობთ და მოღვაწეობთ ჩვენს სკოლაში!**

**გულწრფელი პატივისცემით და სიყვარულით,**

**ვაჟა-ფშაველას სახელობის თბილისის 87-ე საჯარო სკოლის მე-3³ კლასის მოსწავლეთა მშობლები.**

◉ სოციალური კვლევა

# დაეყრდენით ამ კვლევებს და ქვეყანას ჭაობიდან ამოიყვანით!

**„საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI-მ“ დემოგრაფიული და სოციალური კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. კვლევა 9 კითხვისაგან შედგებოდა და როგორც „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI-ს“ ხელმძღვანელმა ზვიად ტომარაძემ განაცხადა აღნიშნული კვლევა საქართველოს დიდ ქალაქებს – თბილისს, ქუთაისს, ბათუმსა და რუსთავს მოიცავდა. კვლევის ფარგლებში 1272 რესპონდენტი გამოიკითხა, აქედან 525 (41%) მამაკაცი, ხოლო 747(59%) ქალი იყო.**

**კვლევის შედეგები ჟურნალისტებს პროფესორმა ანზორ თოთაძემ გააცნო.**

**კითხვაზე, რა არის გაეროს მიერ ქართველი ერის დემოგრაფიულად მომაკვდავი ერების სიაში შეტანის გამომწვევი მთავარი მიზეზი საქართველოში, რესპონდენტთა 20%-მა ოჯახური ღირებულებების დაკნინება დაასახელა. 13%-მა სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის დიდი ნაწილის მიგრაცია, ხოლო ეკონომიკური სიდუხჭირე რესპონდენტთა 65,7%-მა დაასახელა.**

**გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობა ეთანხმება ანტიდისკრიმინაციული კანონიდან ტერმინების – „სექსუალური ორინეტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ ამოღებას 79%.**

**გამოკითხულთა 76% მიიჩნევს, რომ საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა, რომლებიც ფინანსდებიან საზღვარგარეთიდან გამოხატავენ მათ დამფინანსებელთა ინტერესებს და ხშირად მიდიან საქართველოს სახელმწიფოს ინტერესების და მისი ტრადიციების წინააღმდეგ.**

**კითხვაზე – მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქართულ ტელესივრცეში მოქმედი თოქ-შოუები ძირითადად ამორალური ხასიათისაა და უზნეო ცხოვრების წესის რეკლამირებას ახდენს, რესპონდენტთა უმრავლესობა 69,6 % დადებითად ფიქრობს.**

**საქართველოში აზარტული თამაშების შეზღუდვას გამოკითხულთა 90,1 % ეთანხმება.**

**უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლებში უცხო ენა პირველივე კლასიდან, 57,6% ფიქრობს, რომ არ უნდა ისწავლებოდეს.**

**კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 62,3% მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მიერ მრავალშვილიან ოჯახებზე სხვადასხვა სოციალური შეღავათების (ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ აირზე) დაწესებით დემოგრაფიული მდგომარეობა გამოსწორდება.**



**გამოკითხულთა უმრავლესობა 70 % ფიქრობს, რომ 3-4 კლასებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ახალი საგანი „მე და საზოგადოება“, რომელშიც საუბარია კონფლიქტებზე ოჯახში, გენდერულ სტერეოტიპებზე და დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე ყველა სახის უმცირესობის მიმართ, არ უნდა ისწავლებოდეს.**

**კვლევის თანახმად, მარიხუანას დეკრიმინალიზაციას რესპონდენტთა უმრავლესობა 48 პროცენტი არ ეთანხმება.**

**ინტერპრესი**

№217. ოთხშაბათი, 18 ნოემბერი, 2015 წელი.

# სასამართლო პროცესები, სატელეფონო მოსმენები და სახელისუფლებო პოზიციები



**ასეთი რეზონანსული სასამართლო პროცესი, როგორიც „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით მიმდინარეობს, ასეთი გამოხმაურებით შინ და გარეთ, რაც თავი მახსოვს, ჩვენს სინამდვილეში არ ყოფილა. ამ ქონებრივმა დავამ ბევრად გადაფარა (გაშუქების და გამოხმაურების თვალსაზრისით) ამავე პერიოდში მიმდინარე ორი სხვა, საზარელი და სამარცხვინო მკვლელობების ასევე რეზონანსული პროცესები — უდანაშაულო და უიარაღო ვაზაგაშვილი-შვილის (ხუბულოვთან ერთად) უმოწყალო ჩახოცვა კორტებთან, და შვილმკვდარი ვაზაგაშვილი-მამის აფეთქება შვილის საფლავზე, რომლის მსგავსი უმდაბლესი მკვლელობა საქართველოს ისტორიას არ ახსოვს.**

ვინმესთვის ქონების წართმევა, რომლის უკან დაბრუნებაც შესაძლებელია, განა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვინმესთვის სიცოცხლის წართმევა, რომელსაც უკან ვერავინ ვერ დაიბრუნებს?! არა, რა თქმა უნდა! ეს იმას ადასტურებს მხოლოდ, რასაც დიდი ხნის წინათ მიხვდნენ — რომ პოლიტიკა ბინძურია, დიდი პოლიტიკა — მით უფრო ბინძური! შესაბამისად, ამ პოლიტიკის გამტარებელი პოლიტიკოსების დიდი უმრავლესობაც გასვრილია, მორალის და ეთიკის ნორმები მათთვის არ არსებობს! ამიტომაც არის, რომ 100%-ით დამნაშავე მხარეს, ანუ სააკაშვილის „რუსთავი-2“-ს ასე აშკარად და სინდისის ქენჯნის გარეშე კბილებით იცავენ „დემოკრატიული“ ამერიკა-ევროკავშირის მმართველ წრეებში — პარტიული ლიდერები, ელჩები და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები.

**არადა, „რუსთავი-2“-ის ეს ყბადაღებული საქმე ერთობ ბანალურია — იგი „კრიმინალური ორგანიზაციის“ (პრემიერ ღარიბაშვილის შეფასებაა!), ანუ „ნაცმოძრაობის“ ლიდერის, ქვეყნიდან გაქცეული, „ძებნილი“ მიხეილ სააკაშვილის მიერ მიტაცებული ტელეკომპანიის კანონიერი მეპატრონეებისთვის დაბრუნებას ეხება, და სხვას — არაფერს.** მაგრამ „ქართული ოცნების“ უფსხო მმართველობით (თუ ურთადგილობით!) თავისუფლებაზე დატოვებულმა „ნაცებმა“ (ნაცების დიდი უმრავლესობისთვის ხომ ხელიც არ უხლია ივანიშვილ-ღარიბაშვილის ხელისუფლებას — ზოგი „გაექცათ“ ქვეყნიდან, ზოგსაც უბატონოდ ხმას ვერ სცემენ, აქაოდა პარტიული ნიშნით ანგარიშსწორებას დაგვაბრალებენ დასავლეთშიო), დასავლეთიდან დაფინანსებულმა ე.წ. არასამთავრობოებმა (იგივე „ასო“-ებმა) და „ნაცების“ მონათესავე პარტიებმა, უცხოელ „დემოკრატებთან“ ერთად **ისეთი ალიაქოთი ატეხეს მთელ მსოფლიოში, თითქოს, საქმე ყაჩაღობით მითვისებული ქონების ჩამორთმევას კი არ ეხებოდეს, არამედ თავისუფალი სიტყვის ჩახშობას და ასეთი სიტყვის მედროშის — „რუსთავი-2“-ის დახურვას!**

ყველაზე საინტერესო და, იმავდროულად, ღიმილის მომგვრელი არის ის, რომ **კაციშვილი „რუსთავი-2“-ის მხარდამჭერებიდან კრინტს არ ძრავს იმაზე, კანონიერად შეიძინა თუ ძალით დაისაკუთრა ეს ტელეკომპანია სააკაშვილმა, ანდა, სიმართლეს ამბობენ მისი ყოფილი მფლობელები თუ ცილს სწამებენ ამერიკის თვალისჩინს — „უპატიოსნეს ძაღლიშვილს“.** სააკაშვილის პატიოსნობის დაცვა თეორიულადაც შეუძლებელია, არათუ საბუთებით. ეს კარგად მოეხსენებათ ჩვენთანაც და დასავლეთშიც, და სწორედ ამიტომაც ცდილობენ სასამართლო დავის პოლიტიკურ ჭრილში განხილვას. რაზეა დავა, ვინ ვის უჩივის და რას თხოულობს, ამას საერთოდ გვერდს უვლიან; რატომ არიან სააკაშვილი და გვარამია ასე გაწიწმატებული ვიღაც ყარამანიშვილებისთვის ქონების ჩამორთმევით, არც ამის ახსნით იწუხებენ თავს, ბეჭედდასმულად კი იმას აცხადებენ, რომ ხელისუფლება ოპოზიციურ სიტყვას ებრძვის!

საქართველოში არავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ „რუსთავი-2“-ის ერთადერთი მფლობელი სააკაშვილია და არა — ძმები ყარამანიშვილები, როგორც ამაში ჩვენ დარწმუნებას ცდილობენ „ნაცები“. სააკაშვილის ფიქციური მფლობელობა იმითაც დასტურდება, რომ ეს ძმები ერთხელაც არ გამოჩენილან სასამართლო პროცესზე. კაცს ათობით მილიონის ქონებას ართმევდნენ, ის კი ჩირგვებში იყოს დამალული და თავის მაგივრად გენერალურ დირექტორს აყეფებდეს (რომელსაც, საერთოდ, არ ედავებიან არაფერს!), ჯერ არ მოსწრია არავის; გარდა ამისა, სასამართლოს განაჩენის აღსრულებისთვის ფიზიკური წინააღმდეგობის გასაწევ ინსტრუქციებს, სწორედ სააკაშვილი აძლევს გვარამიას, და გვარამიაც სააკაშვილს სთხოვს თანამშრომლებისთვის ხელფასების(!) ფულს და არა — ყარამანიშვილებს! ეს ყველაფერი აუდიოჩანაწერებით დასტურდება, რომელთა ავთენტურობა სამივე მოსაუბრემ აღიარა — გვარამიამ, ბოკერიამ და თავად სააკაშვილმა!

კიდევ ერთი, ამ აუდიოჩანაწერებთან დაკავშირებული საინტერესო და, ასევე ღიმილის მომგვრელი, „ნაცების“ უტიფრობის დამადასტურებელი ფაქტი: ისევე, როგორც პატიმრების წამების და გაუპატიურების ამსახველი ვიდეოკადრების გამომზეურების დროს, ახლაც, სააკაშვილის მამხილებელი აუდიოჩანაწერების გასაჯაროების შემდეგაც, „ნაცებმა“ ნაცად ხერხს მიმართეს — იმაზე კი არ აკეთებენ აქცენტს, რაზედაც ყველა ნორმალური და პატიოსანი ადამიანი აკეთებს, ანუ ვისი მითითებით ხდებოდა პატიმრების წამება ადრე და რა ანტისახელმწიფოებრივ დავალებებს აძლევს ახლაც სააკაშვილი გვარამიას და ბოკერიას, როცა, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალებისკენ და „ბოევიკების“ მობილიზაციისკენ მოუწოდებს მათ, არა, როგორ გეკადრებათ, ეს რა სახსენებელია! „ნაცების“ ჭკუით, თურმე, მთავარია ვინ გაავრცელა ეს ჩანაწერები ინტერნეტით, ვინ მოჭრა თავი მათ სათაყვანებელ ბელადს! **პრეზიდენტ მარგველაშვილის აზრით კი, თურმე, მთავარია ვიცოდეთ, რამდენ კაცზეა წამების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრული, რამდენ(!) კაცზე და არა იმაზე, თუ რა კატეგორიის ხალხზეა საქმეები აღძრული — რიგით შემსრულებლებზე თუ იმათზე, ვისი მითითებითაც (ბრძანებით) მზადდებოდა ათასობით წამების და გაუპატიურების ამსახველი ფაილი.**

ამ ჩანაწერებთან დაკავშირებით „ნაცების“ კიდევ ერთი სამართლებრივი „მიგნებაა“ საინტერესო, რომელიც უკვე მერამდენედ გვგვრის მწარე ღიმილს. თურმე, მთავარი მნიშვნელობა ჰქონია არა ჩანაწერების შინაარსს (სისხლიანი გადატრიალების დაგეგმვას!), არამედ იმას, რომ ეს ჩანაწერები, მიუხედავად მათი ავთენტურობისა, კანონის გვერდის ავლით ყოფილა მოპოვებული და, ამიტომ, საქმის აღძვრამდე არსებული ჩანაწერები სამართლებრივ სამხილად არ გამოდგება, პასუხისგებაში ვერ მიგვცემთო! და იქით შეუტიეს მთავრობას — როგორ ბედავთ და ჩვენ სატელეფონო საუბრებს მოსამართლის ნებართვის გარეშე ისმენთო!

ეს „ნაცინტელექტუალები“ იმასაც ვერ ხვდებიან, რამხელა სისულელეს ბჟუტურობენ, რადგანაც **ნებისმიერ მოქალაქეს და, მით უფრო, ქვეყნიდან გაქცეულ პრეზიდენტს, რომელიც მართლმსაჯულებას ემალება(!) და ძალაუფლების ხელში ჩაგდებითაც იმუქრება (თანაც, არჩევნებამდე!), სახელმწიფოს უშიშროების სამსახურმა აუცილებლად უნდა მოუსმინოს, ვალდებულია(!) მოუსმინოს მის ყოველ საუბარს და თვალი ადევნოს მის ყოველ ნაბიჯს, ყოველგვარი მოსამართლის ნებართვის გარეშე!** ამ „ინტელექტუალებმა“ ისიც არ იციან (ან, ჰგონიათ, რომ თავიანთთვის სასარგებლოდ ძალიან მოხერხებულად ისულელებენ თავს!), რომ სატელეფონო საუბარი მონოლოგი არ არის, რომ იგი მინიმუმ ორ სუბიექტს გულისხმობს და ამიტომაც, ბუნებრივია, მოსმენის ობიექტთან ერთად, მეორე მოსაუბრეც ისმინება (ოღონდ, ეს ძალიან ძნელი მისახვედრია... „ნაცებისთვის“!).

ვფიქრობ, მეტი სიცხადისთვის, შესაბამის კანონს აუცილებლად უნდა დაემატოს მინიმუმ ორი მუხლი:

**1. უნდა აიკრძალოს იმ პირების ინტერვიუების პრესით, რადიოთი და ტელევიზიით გავრცელება (ცხადია, პირდაპირი ჩართვებიც), რომლებიც მართლმსაჯულებას ემალებიან;**

**2. ძებნილ პირებთან კონტაქტები დასჯადი უნდა გახდეს** (ოჯახის წევრების, მშობლების და დედმამიშვილების გამოკლებით).




და კიდევ, როგორ დავიჯერო ამ „მოწინავე“ „ნაცებმა“ იმდენი არ იციან, რომ დღევანდელი ტექნიკური შესაძლებლობები, პრაქტიკულად, განუსაზღვრელია, რომ **თუ მოსმენა და თვალთვალი გადაწყვიტა სახელმწიფომ, მას ვერსად დაემალები;** ამისთვის მას არც მოსამართლის ნებართვა სჭირდება და არც სატელეფონო კომპანიის თანხმობა! **დღეს, როდესაც ტერორიზმთან ბრძოლა ამერიკამ საბაბად დაიხვია ხელზე, შეიძლება ითქვას, იგი მთელ მსოფლიოს უსმენს — რიგითი მოქალაქიდან დაწყებული „მეგობარი“ სახელმწიფოების ლიდერებით დამთავრებული, და ამაში ვერაფერს უკანონოს და უზნეოს ვერ ხედავს.** მოსმენებთან დაკავშირებით, სახელმწიფო დეპარტამენტს საკვსებით პრაგმატული ახსნა აქვს: განურჩევლად მოსმენა-თვალთვალის ობიექტისა (თუნდაც, იგი გერმანიის კანცლერი იყოს!), **ყველაფერი ამერიკის სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდება!** დავანებოთ თავი ეთიკურ მხარეს და ვიკითხოთ: არის ამაში სიმართლის მარცვალი? მოგვწონს თუ არა, ამაში სიმართლის მარცვალი კი არა, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ჭეშმარიტება! განა ყოველთვის არ აინტერესებდა ერთ სახელმწიფოს, თუ რას აპირებდა მეორე სახელმწიფო? განა ჯაშუშები, მსტოვრები (დღევანდელი შელამაზებული ენით — ინფორმატორები) ყოველთვის არ ჰყავდათ უცხო სახელმწიფოებში, და განა ყველა სახელმწიფოს დაზვერვა არ ცდილობდა, რომ ეს ინფორმატორები რაც შეიძლება მაღალ იერარქიულ საფეხურზე ჰყოლოდათ? ამისთვის ხომ ყველა საშუალებას იყენებდნენ და არც დიდ ხარჯებს (მოსყიდვას) ერიდებოდნენ. ჰოდა, აბა, დღეს რატომ გადაყრის რომელიმე სახელმწიფო მილიონებს ინფორმატორების შესანახად, თუკი შეუძლია გაცილებით ნაკლები ხარჯით ათასჯერ, მილიონჯერ მეტი ინფორმაციის მოპოვება თანამედროვე ტექნიკური აპარატურის გამოყენებით — სატელეფონო მოსმენებში, ფეისბუქში, პირად კომპიუტერებში, ონლაინ მიმოწერებში და სხვა წყაროებში დისტანციური ჩართვით?! ჩვენი ადგილსამყოფელი, ჩვენი ყოველი ნაბიჯიც ხომ მომენტალურად და პერმანენტულად ფიქსირდება ჩვენს ჯიბეში დებული, გამორთული მობილურითაც კი. ასე რომ, სულ თვალის ახვევაა იმაზე გაწიწმატებული მსჯელობა, თუ ვის, როგორ და ვისი ნებართვით ჰქონდეს წვდომა ჩვენს სატელეფონო საუბრებთან და, საერთოდ, თვალთვალთან. **საკუთარმა უშიშროების სამსახურმაც რომ არ მოგვისმინოს მოსამართლის სანქციის გარეშე, ძია სემი მაინც გვისმენს, იგი უსმენს უკლებლივ ყველას და ყველგან!**

ისე, მთავარიდან მეორეხარისხოვანზე ყურადღების გადატანა, როგორც ამას „ნაცები“ ცდილობენ „ვიკილიკსით“ გამომზეურებულ ჩანაწერებთან დაკავშირებით, ნაცადი ხერხია და მას „დემოკრატიულ“ დასავლეთშიც იყენებენ. ერთ ანალოგიურ სკანდალურ ფაქტს მოვიყვან საილუსტრაციოდ: **სარკოზის** პრეზიდენტობის დროს, საფრანგეთის 100-მა მაღალი თანამდებობის პირმა, ერთდროულად, ელექტრონული ფოსტით შეტყობინება მიიღო იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტი სარკოზი ისრაელის დაზვერვის „მოსადის“ აგენტია — მითითებული იყო თარიღიც და იმათი გვარებიც (სამი ადამიანის), რომლებმაც „დაავერბოვკეს“ სარკოზი პრეზიდენტად გახდომამდე კარგა ხნით ადრე. მაშინვე იქნა მიღებული ზომები, მაგრამ არა ამ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, არამედ იმის დასადგენად, თუ ვინ(!) გაავრცელა ეს მაკომპრომეტირებელი მასალა! უსწრაფესად მიაგნეს იმ ინტერნეტ-კაფეს, საიდანაც გაიგზავნა ინფორმაცია, მაგრამ იმის გამო, რომ იქ არ იყო ვიდეოკამერა დამონტაჟებული, წინდახედული გამომგზავნის ვინაობა ვერ დაადგინეს. სარკოზის აგენტობა არც დადასტურებულ იქნა და არც უარყოფილი, ეს საქმე, საერთოდ, ჩაიფარცხა! ასევე ჩაიფარცხა იმავე სარკოზის მიერ „დიქტატორ“ კადაფისგან 50 მილიონი ევროს მიღება წინასაარჩევნო კამპანიისთვის!

წამების, გაუპატიურების და პირად ცხოვრებაში ჩარევის დამადასტურებელი ვიდეოკადრების გამომჟღავნების შემდეგ, რასაც, ახლახან, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ნიშნების მქონე აუდიოჩანაწერებიც დაემატა, ისევ გაუჩნდა ხალხს იმედი, რომ დამნაშავე „ნაცები“ ახლა მაინც აუცილებლად დაისჯებოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მოკლე მეხსიერება გვაქვს — გვავიწყდება, რომ სამართალი სასამართლოს ძალით უნდა დამყარდეს, სასამართლოებში კი ისევ ის მოსამართლეები არიან მანტიამოსხმულები, რომლებსაც ათასობით უკანონო განაჩენი აქვთ გამოტანილი 2004-2012 წლებში. ამ დამნაშავე მოსამართლეებს, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ყოველდღე დაჭერას ელოდნენ, **იუსტიციის მინისტრმა** ისეთი რამ შესთავაზა, რომ მათთან ერთად ჩვენც პირი დაგვაღებინა გაკვირვებისგან: დასასჯელები კი ხართ, ბევრი ცოდვა გაწევთ კისერზე (ყველას თავი რომ დავანებოთ, 200-ზე მეტი კაცი პარლამენტმა(!) აღიარა პოლიტპატიმრად!), მაგრამ მაინც ხელს არ გახლებთ, ამიერიდან სრულ თავისუფლებას განი-

ქებთ და როგორც საჭიროდ ჩათვლით, ისე იმოქმედეთ, ველარავინ გაბედავს თქვენ საქმიანობაში ჩარევასო; არ გატყუებთ, ხომ ხედავთ, ვინც თქვენ უკანონო განაჩენების გამოტანას გავალებდათ, არც იმათ ვერჩით — მთავარ მოსამართლესაც ადგილზე გიტოვებთ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესაც, მთავარ დამნაშავეებსაც მშვიდობიანად ვისტუმრებთ მეზობელ სახელმწიფოებში სამუშაო-საცხოვრებლად და თქვენ ხომ არ გამოგიყვანთ „განტევების ვაცებადო"!

ჰოდა, ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო! ამისთანა გარანტიების მიღების შემდეგ ამ მოსამართლეებმაც დაიწყეს დაპატიმრებული (თითებზე ჩამოსათვლელი!) „ნაცებისთვის" მრავალი ბრალდებიდან უმეტესობის მოხსნა და ისეთი განაჩენების გამოტანა მწამებლებისა და მკვლელებისთვის, როგორიც ადრე ორი ღერი ფიცრის ან 50 კილო ჯართის მოპარვისთვის გამოჰქონდათ, და დღესაც გამოაქვთ 500 ლარის ქრთამის აღებისთვის. მოსამართლეების ნებისმიერი, თუნდაც, **აშკარად არასამართლიანი განაჩენი ხელისუფლების მხრიდან რიხიანად საღდება, როგორც დადასტურება სასამართლოს დამოუკიდებლობისა!** რა დიდი გონებაგამჭრიახობა უნდოდა იმის მიხვედრას, რომ დიდსულოვანი მიმტევებლობა (თანაც, სამართალის ხარჯზე!) შედეგს არ გამოიღებდა, რომ ეს **პროკურორ-გამომძიებელ-მოსამართლეები, რომლებზედაც (თითოეულზე!) უამრავი კომპრომატი აქვთ შეგროვილი „ნაცებს", სიკვდილამდე მათ ერთგულ მონებად დარჩებიან!** გონებაჩლუნგი უნდა იყო, ამას ვერ მიხვდე!

მაგრამ, გონებაჩლუნგობით ეს არ მოსვლია არავის. გონებაჩლუნგებად, პირიქით, ჩვენ გვთვლის ხელისუფლება, რომელიც პიარტექნოლოგიების გამოყენებით ხშირად ახერხებს ჩვენ გაცურებას. თუმცა, „შუბი ხალთაში არ დაიმალებაო", რომ ამბობენ, მართლაც ასეა — იგი თავადვე ახდენს თვითლუსტრაციას, რისი მაგალითიცაა ახლახან დანიშნული **უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე,** რესპუბლიკელი ქ-ნი გვენეტაძე, რომელიც სწორედ „რუსთავი-2-ის" პროცესზე „გაიყიდა", როცა გადაწყვიტა „ნაც-რესპუბლიკელებისთვის" ესიამოვნებინა, და შეეცადა (თავისი ჭკუით — ტექნიკურად) ზეწოლა მოეხდინა მოსამართლე ურთმელიძეზე, როცა იგი, გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით, ახსნა-განმარტებისთვის იუსტიციის საბჭოში „მიიწვია"!. **საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეზე,** პირწავარდნილ „ნაცზე" — პაპუაშვილზე აღარც ვლაპარაკობ, მას რა ლუსტრაცია სჭირდება, ამხელა თანამდებობის პირი,



საკაშვილის მიერ სხვისთვის წართმეულ და მერე მისთვის ნაჩუქარ სახლში რომ იცხოვრებს და არც არავითარ უხერხულობას არ იგრძნობს, იმ კაცს რა სამართალი მოეთხოვება, ის ხომ „ნაცების" ინტერესებს დაიცავს კბილებით, სანამ არ მოხსნიან ან არ დაიჭერენ. თუმცა, ვინაა ამის გამკეთებელი!

გვენეტაძის რა გვიკვირს, როცა **პრეზიდენტი** მარგველაშვილი ჩაერია სასამართლო პროცესში და მკაცრად გააფრთხილა იგივე ურთმელიძე: „სასწრაფო და ხისტი გადაწყვეტილება არ გამოიტანოო"! აქეთ, **პრემიერ-მინისტრი** აფრთხილებს სასამართლოს წინასწარ(!): „საგარეჯოში აჩევნები არ გაყალბებულა, მაგრამ ვინაიდან „პატრიოტთა ალიანსმა" შედეგები მაინც გაასაჩივრა, მე ამ სასამართლო პროცესს ყურადღებას მივაქცევო"!

ასეთ ვირეშმაკულ „ნეიტრალურ" გამონათქვამებს რა ხანია მივეჩვიეთ და, თითქოს, ველარაფერი გაგვაკვირვებს, მაგრამ, თურმე, მოიცა, ჯერ სადა ხარ — **„რუსთავი-2"-ის დროებით მმართველობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, მოსამართლე ურთმელიძეს რამდენიმე დღეში შეაცვლევინეს!!!** არ თქვას ახლა ვინმემ, კარგად დაფიქრდა ურთმელიძე, პირვანდელ გადაწყვეტილებაში შეცდომები აღმოაჩინა და თავისი ინიციატივით გამოასწორაო! **კიდევ ერთხელ სირცხვილი ჩვენ ხელისუფლებას, რომელმაც გვირამიას და ბოკერიას, რომელთა დაჭერასაც, აუდიოჩანაწერების საფუძველზე, დღე-დღეზე ელოდა ყველა („ნაცების" მხარდამჭერების ჩათვლით!), ისევ ყელყელაობის და გამომწვევი ტონით გამოსვლების საშუალება მისცა!** ამგვარი სასამართლო პრეცედენტები არა მგონია, ვინმეს სმენოდეს, ეს მხოლოდ ჩვენისთანა „თავისუფალი" და „დამოუკიდებელი" სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებაა! აუდიოჩანაწერების გამოძიების საქმე როგორ მიდის, იკითხავს დაინტერესებული ადამიანი. როგორ და ზუსტად ისე, როგორც განმუხურის დადგმული სპექტაკლის, მუხროვანის „ამბოხის" და ლაფანყურის „სპეცოპერაციის", როგორც 7 ნოემბრის, 26 მაისის დარბევების და ე.წ. აგვისტოს ომის, ანუ სამხედრო ავანტიურის გამოძიების საქმეები (და კიდევ უამრავის) — ყველა მიმდინარეობს! როდის დასრულდება? უშაბათო კვირაში!

ყოველივე ამის (და კიდევ ბევრი რამის) შემყურეს და ნერვებდაწყვეტილებს **უკვე მწარედაც აღარ გვეღიმება, აბა, სულელის მეტი ვინ გაიღიმებს, როცა სატირლად გვაქვს საქმე, როცა დაუსჯელი „ნაცები" აქეთ დაგვცინიან, ნიშნისმოგებით ენას გვიყოფენ და, თან, გვემუქებიან: „თუ ბიჭები ხართ და გაბიათ რამე, თუ ქვეშ არ ისვრით ჩვენი მფარველების თითის დაქნევაზე, დაგვიჭირეთ და გაგვასამართლეთ, თორემ ჩვენ მოვალთ მალე და ყველას დედას გიტირებთო"!** ამ მთავრობის ხელში, რომელიც თითსაც ვერ აკარებს აშკარად დამნაშავე „ნაცებს", არაფერია გამორიცხული; იგი, მხოლოდ სიტყვიერ ლანძღვას უბედავს მათ — რომ „ნაცმოძრაობა" „დამნაშავე ორგანიზაციაა", რომ „მიხეილ სააკაშვილის ადგილი ციხეშია". ცარიელი სიტყვების კი არავის ეშინია, სწორედ ესაა მიზეზი „ნაცების" გათავხედების და სააკაშვილი სისხლიან გადატრიალებას რომ გეგმავს, იმისაც! მეორეს მხრივ, **მე რომ მეუბნები, ბატონო პრემიერო, „ნაცმოძრაობა" „დამნაშავე ორგანიზაციააო", მასხრად მიგდებ თუ მისამართი გეშლება, არ იცი, რომ შენი, მთავრობის პირდაპირი მოვალეობაა დამნაშავეების დასჯა?!**

**ხელისუფლებას აწყობს არსებული „სტატუს კვო" და ამიტომაც არ ცვლის მახინჯ საარჩევნო კანონს — ხალხის თავგანწირვის(!) ფასად 2012 წელს არჩეული „ქართული ოცნება" დღეს უსირცხვილოდ არწმუნებს ამ პატიოსან ხალხს, რომ საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანა არაფრით არ ესწრება 2020 (!) წლამდე. ამასაც, მასხრად აგდების მეტი, სხვა სახელი არ ეძებნება!**

ყველას მოგვბეზრდა სულ მწარედ გაღიმება, ყველას გვენატრება ნაცნობ-უცნობის ღიმილიანი სახეები ქუჩაში და სახლშიც, მაგრამ ყოველივე ამ უმსგავსობის შემხედვარეს, რაც ჩვენ თავს ხდება, როცა წელი წელს მისდევს და არსებითად არაფერი არ იცვლება ჩვენს ცხოვრებაში — არც ეკონომიკურად და არც სამართლებრივად, როცა ოცნებები უკეთეს ხელისუფლებაზე და, შესაბამისად, უკეთეს მომავალზეც, დაიმსხვრა, გამწარებულებს ღიმილი კი არა, ღრიალი გვინდება, მაგრამ ამას შვება არ მოაქვს — გულებს ვასკდებით მხოლოდ; ხელისმოწერების შეგროვებით და შიმშილობებითაც, მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ვერაფერს მნიშვნელოვანს ამ ხელისუფლების ხელში ვერ მივაღწევთ, ამერიკელ სენატორებთან საჩივლელად სირბილიც, ვისი გამოისობითაც ვართ ამ დღეში, ხომ მთლად თავის მოტყუებაა, ამიტომ ამ უსამართლო მდგომარეობის გამოსასწორებლად კონსტიტუციით მონიჭებული ყველა უფლება უნდა გამოვიყენოთ, ყველა გზა მოვსინჯოთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს სამართალი, ერთადერთი რამ, რასაც გაჭირვებული ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება და 25 წლის მანძილზე გახლეჩილი ქართველი საზოგადოების გამთლიანება შეუძლია!

**იაკობ ლეჟავა,**
4 ნოემბერი, 2015

---

**⊙ პოლიტიკურ თაღლითებს არ დაუჯეროთ!**

# ორი კურდღლის დაჭერა ნაციონალურად

**ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტში „ნაციონალური მოძრაობის" კანონპროექტი განიხილეს, რომელიც ფინანსურ-ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციას ითვალისწინებს.**

**მიიღებს თუ არა ამ კანონპროექტს პარლამენტი? წავა თუ არა ასეთ რისკზე ხელისუფლება წინასაარჩევნოდ და რა საფრთხეს შეიცავს ნაციონალების ეს ინიციატივა, ამის შესახებ იურისტების მოსაზრებები განსხვავებულია.**

უფლებადამცველი **გელა ნიკოლაიშვილი** ფიქრობს, რომ ნაციონალები ამით „ორი კურდღლის დაჭერას" ცდილობენ. ერთი მხრივ, მათ სურთ, თავი დაიძვრინონ და, მეორე მხრივ, — ხალხის გარკვეულ ნაწილს წინასაარჩევნოდ ასიამოვნონ. თუმცა, თუკი ეკონომიკურ დანაშაულზე სრულ ამნისტიას გამოვაცხადებთ, მაშინ ციხეში ვინც ზის და სასჯელს იხდის, ის მოგვადგება და გვეტყვის, მაშინ მე რისთვის ვზივარ, თუ დამნაშავეებს ყველაფერს პატიობთ? ვინც სასჯელი მოიხადა, იმასაც გაუჩნდება პრეტენზიები.



**„არ არის გამორიცხული, ნაციონალებს საკუთარი ინტერესი ჰქონდეთ, რადგან „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის დროს მაღალ თანამდებობაზე მომუშავე ბევრი პირი, სავარაუდოდ, მევალეთა სიაში იქნება, რომელთაც გადასახადები აქვთ გადასახდელი და მათი ჩამოწერა უნდათ. რაღაც დოზით ვალების რესტრუქტურიზაცია, ამნისტირება პერიოდულად სხვა ქვეყნებშიც ხდება, მაგრამ არა ისე, რომ ყველანაირი ვალი — ათიათასობით თუ ასიათასობით — ჩამოიწეროს, ეს დაანგრევს სახელმწიფოს. შეიძლება, ამნისტია უფრო შეეხოს ადმინისტრაციულ ჯარიმებს, შეიძლება, ამნისტია გარკვეულ რაოდენობამდე გავრცელდეს სისხლის სამართლის ჯარიმებზეც, მაგრამ ზოგს ასეულ ათასობით აქვს სახელმწიფოს ვალი და ეს ვალი არ უნდა ჩამოეწეროს",**-აცხადებს გელა ნიკოლაიშვილი და ნაციონალების დროინდელ „კეთილშობილურ" ჟესტს იხსენებს **„რუსთავი-2"-თან მიმართებით, როცა ამ ტელეკომპანიას 27 მილიონი ჩამოაწერეს.**

**ეს მაშინ, როცა ჯამში ამნისტირებული თანხა ტელევიზიებისთვის 30 მილიონი იყო. აქედან 27 მილიონი „რუსთავი-2"-ს შეხვდა და იმ პერიოდში ტელეკომპანია „კავკასია" ძალზე ობიექტურად და სამართლიანად ჩიოდა, მე რომ წესიერი გადამხდელი ვარ, რა დავაშავე, თუ მოპარვის პატიება შეიძლებოდა, მაშინ მეც მოვიპარავდიო.**

უფლებადამცველი **ლია მუხაშავრია** განმარტავს, რომ ფინანსურ-ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია მხოლოდ ნაციონალების სასარგებლო არ არის და ეს პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ გარიგება შედგა „ოცნებასა" და ნაციონალებს შორის და ამას ახლა ფორმალიზება სჭირდება.

**„რეალურად, გაძლიერდა მოძრაობა იმ მიმართულებით, რომ ჩამორთმეული ქონება დაიბრუნოს ხალხმა, დარღვეული უფლებები აღიდგინოს, ამიტომ ამათ ახლა სჭირდებათ საკანონმდებლო გარანტიები იმისთვის, რომ პასუხი არ აგონ ჩადენილ სამეურნეო და სხვა ეკონომიკური ხასიათის დანაშაულზე. ქონების გადანაწილების კუთხით ამ საკითხზე „ოცნებასთან" გარიგება რომ არ შემდგარიყო, ცხადია, „ოცნება" ასეთ კანონპროექტზე არ იმსჯელებდა და საერთოდ არ მიიღებდა განსახილველად. მე არასდროს ვყოფილვარ მკაცრი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მომხრე, მაგრამ ვეჭვობ, რომ ამომრჩეველი, რომელმაც კანონმდებელს მანდატი მისცა, ამაზე თანახმა არ იქნება. დარწმუნებული ვარ, ჩვენი საზოგადოება აბსოლუტურად წინააღმდეგია ფინანსურ-ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციის და კარგია, რომ მედია ამაზე აკეთებს აქცენტს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ჩვენს ზურგს უკან რა კანონპროექტებზე მუშაობენ ისინი, ვინც ავირჩიეთ. ამიტომ არავის აინტერესებს, ვის წაგლიჯეს ქონება ნაცებმა, რადგან ეს ქონება უკვე გადანაწილებულია პირველი ხელის მოძალადე ყაჩაღსა და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის",** — აცხადებს ლია მუხაშავრია.

იურისტი უფრო შორეულ პროგნოზსაც აკეთებს და განმარტავს, იმ შემთხვევაში, თუკი არჩევნებში გავიყვანთ პოლიტიკოსებს, რომლებიც ჩვენი დარღვეული უფლებების აღდგენას შეეცდებიან, მათ უკვე დაუპირისპირდება კანონი, რომელიც აცხადებს ამნისტიას ამ დანაშაულებზე. ამიტომ შეუძლებელი იქნება დამნაშავეების მიმართ კანონისმიერი პასუხისმგებლობის დაკისრება.

**მანანა ნოზაძე**

---

**⊙ კაკალ გულში**

## წერწეროვანი თეზები

● ის საშინელი ტრაგედია რაც საფრანგეთში დატრიალდა, მსოფლიო პოლიტ-კრეტინების ჩადენილია, ჩვენი ტერორისტი არ არსებობს და ტერორისტების მეშვეობით ქვეყნებში ხელისუფლების ცვლილება, შემდგომ ასეთ პროცესებს იწვევს. საქართველოშიც მსგავსი სისხლის კალოს დატრიალებას ცდილობენ ეს იდიოტები, ნაც-ტერორისტების,ახალაიების, მეგის ქარდავების და ამგვარი ნაძირლების მხარდაჭერით, ჩვენი დაუძინებელი ევროატლანტიკური და რუსი მეგობრები.

● გუგული მაღრაძე არის საქართველოს პარლამენტის წევრი, კანონმდებელი, პოლიტიკოსი, ფსიქოლოგი, საქართველოს წარმოადგენს ევროკავშირში და აცხადებს, რომ „ტერორისტული აქტების საქართველოსკენ მომართვის საშიშროება ჯერჯერობით არ არსებობს". მისი განცხადებიდან გამომდინარე:

1. „ისლამური სახელმწიფოს" მიერ მოწყობილი ტერორისტული აქტები არ არის მხოლოდ ფრანგებისადმი მიმართული, ეს მიზნად ისახავს მთელი ცივილიზებული სამყაროს დაშინებას.

ე.ი. საქართველო არ არის ცივილიზებული სამყაროს ნაწილი.

2. მიმაჩნია, რომ საქართველოში დიდი აჟიოტაჟის ატეხვა საჭირო არ არის. არც იმის საჭიროებაა, რომ მოვიწვიოთ უშიშროების საბჭო და განვაცხადოთ, რა ქმედებები უნდა განვახორციელოთ.

ან ბიძინას ეპადხალიმება პრეზიდენტთან არსებული უშიშროების საბჭოს მნიშვნელობის იგნორირებით, ან ხელისუფლებამ მხოლოდ საკუთარ პრემია-დანამატებზე უნდა იფიქროს და ან საერთოდ დაკარგული აქვს აზროვნების უნარი

3. „ისლამური სახელმწიფოს" ძირითადი სამიზნე დღეს არიან დიდი ევროპული სახელმწიფოები".

სასწრაფოდ გასარკვევია, საიდან აქვს ეს ინფორმაცია!

ვაი ჩვენს პატრონს ხააააალხო!!! (ბესელიას სმაილიკი)!

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# პარიზის ტერორისტული აქტების ექო თბილისში

**თბილისში არ წყდება პარიზის ტერორისტული აქტების შესაძლო შედეგების განხილვა საქართველოსთვის. უშიშროების სახელმწიფო სამსახურის პრესსამსახურის განცხადებამ იმის შესახებ, რომ საფრანგეთის დედაქალაქში თავდასხმების სერიის შემდეგ საქართველოში გაძლიერდა უშიშროების ზომები, ბევრი საგონებელში ჩააგდო. დღეს საქართველოს პარლამენტში საუბრობდნენ სპეცსამსახურების ბიუჯეტის გაზრდის შესახებ.**

საქართველო არ არის პირდაპირი სამიზნე „ისლამური სახელმწიფოს" ექსტრემისტებისათვის, მიაჩნია თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი სესიაშვილს. მიუხედავად ამისა, პოლიტიკოსი არ უარყოფს, რომ უშიშროების ასპროცენტიანი გარანტია არ აქვს არც ერთ ქვეყანას და რომ საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ რამდენიმე ადამიანი საქართველოდან არის „ისლამური სახელმწიფოს" ექსტრემისტული დაჯგუფების წევრი:

**„ამ დღეებში ჩვენ ხშირად ვსვამთ საკითხებს, საქართველოს რამდენი მოქალაქე გაემგზავრა საომრად? საკითხი შეეხება სულ რაღაც რამდენიმე ათეულ ადამიანს, რაც სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.**

**ეს არის სპეციალური სამსახურების კარგი მუშაობის შედეგი. ამას გარდა, ჩვენ გავამკაცრეთ კანონი, დასჯადი გავხადეთ გასვლა ქვეყნიდან სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე ტერორისტულ ორგანიზაციებთან შეერთებისათვის. ეს იცავს როგორც ცალკეულ მოქალაქეებს, ისე საზოგადოებას მთლიანად".**

ირაკლი სესიაშვილი არ გამორიცხავს, აუცილებლობის შემთხვევაში, საბიუჯეტო ხარჯების გაზრდას სპეცსამსახურებისათვის. ამ საკითხში სიტყვა მთავრობას ეკუთვნის.

ამ დროს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში იმყოფება. 18 ნოემბერს, მისი დაბრუნების შემდეგ, გაიმართება უშიშროების საბჭოს და მინისტრთა კაბინეტთან არსებული კრიზისების სამმართველოს სხდომა.

შეშფოთების მიზეზები არსებობს, მიაჩნიათ ქართველ ექსპერტებს. ქვეყანა ღებულობს აქტიურ მონაწილეობას ნატოსა და ევროკავშირის საერთაშორისო სამხედრო მისიებში. საქართველოში გაიხსნა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ახალი სასწავლო ცენტრი. „ისლამურ სახელმწიფოს", თავის მხრივ, აქვს კონტაქტები როგორც თავად საქართველოსთან, ისე ჩრდილოეთ კავკასიასთან. და, თავისი ბიოგრაფიული მდგომარეობის გამოც, ქვეყანა შეიძლება აღმოჩნდეს ექსტრემისტების გაძლიერებული ყურადღების ცენტრში.

სხვათა შორის, მიმდინარე უშიშროებაზე გაცილებით მეტად აწუხებთ ექსპერტებს ძალების განლაგებათა სტრატეგიული ცვლილებების საკითხები. მაგალითად, დამოუკიდებელი ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე ღელავს იმის შესახებ, რომ პარიზის მოვლენების შემდეგ დასავლეთის დამოკიდებულება რუსეთისადმი შეიძლება შემსუბუქდეს:

**„ჩვენ უკვე მოვისმინეთ მოწოდება საერთო ძალისხმევების შესახებ გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ფონზე რუსეთი შეეცდება, უკანა პლანზე გადასწიოს თავისთვის არასასურველი უკრაინის, საქართველოს საკითხები. პრინციპულად, ეს ასეც მოხდება. დღეს დასავლეთისთვის პრიორიტეტულად „ისლამური სახელმწიფოს" პრობლემა ითვლება.**

სპეციალისტი საერთაშორისო საკითხებში გიორგი გობრონიძე თავის შიშთან დაკავშირებით კიდევ უფრო შორს მიდის. მას აღელვებს, რომ პარიზის ტერორისტულმა აქტებმა შეიძლება შეცვალოს საქართველოს მთავრობის საგარეოპოლიტიკური ვექტორი პრორუსულ ვექტორზე:

**„დაიწყება საქართველოში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მცდელობები — აიო, ტერორიზმის საფრთხე ისეთი რეალურია, რომ უნდა გავერთიანდეთ (რუსეთთან) ამის გამო. სავსებით საალბათოა, მოვისმენთ მოწოდებებს, რომ უნდა დავივიწყოთ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, ეთნიკური წმენდის შესახებ, რაც რუსეთმა განახორციელა საქართველოს ტერიტორიაზე, ოკუპაციაზე, რომელიც გრძელდება, რომ ამისთვის დრო არ არის. ჩრდილოეთ კავკასიაში ხომ უკვე შეიქმნა „ისლამური სახელმწიფოს" უჯრედები, თურქეთთან საზღვრის გავლის შემდეგ კი უკვე ახლო აღმოსავლეთია, სირიაა".**

მომავალს კიდევ უფრო ოპტიმისტურად უყურებს პოლიტიკოსი ნიკა ჩიტაძე:

**„2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში დააჩქარეს ნატოს გაფართოების პროცესი, და სამი წლის შემდეგ შვიდი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა გახდა ალიანსის სრულუფლებიანი წევრი, არ არის გამორიცხული, რომ საქართველო, როგორც ერთ-ერთი მეტად აქტიური პარტნიორი, გახდეს მოთხოვნადი ნატოსთვის".**

ის, რასაც ერთსულოვნად ეთანხმებიან ექსპერტები, ისაა, რომ ტერორისტული აქტები არ მოახდენენ გავლენას ევროკავშირთან საქართველოს სავიზო რეჟიმის გამარტივების პროცესზე, თბილისში დარწმუნებული არიან, რომ ეს საკითხი აუცილებლად გადაწყდება დადებითად წლის ბოლოსათვის.

Эхо Кавказа

## ლევან იზორია: საქართველო ტერორიზმის მაღალი რისკის კატეგორიის ქვეყნებში არ გადის

**„ჩვენ ყველა მუქარას, რომელიც იქნა საჯაროდ გაჟღერებული ტერორისტებისგან და ეს მუქარა უკავშირდება კონკრეტულად საქართველოს, სერიოზულად აღვიქვამთ. აქ მიდგომა არ არის კონკრეტულად დიფერენცირებული, შესაბამისად, ჩვენ მობილიზებას ვიჩენთ მაღალი ხარისხით და მაღალი პასუხისმგებლობით, რაც უკავშირდება რისკებისა და საფრთხეების თავიდან აცილებას.**



**რაც შეეხება იმას, არის თუ არა საქართველო მაღალი რისკის კატეგორიის ქვეყნებში ტერორისტებისთვის, ეს ასე არ არის. მათი ძირითადი სამიზნეა ქვეყნები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საომარ მოქმედებებს ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. თუმცა ეს ჩვენ, უწყებას, რომელიც უშუალოდ არის სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი, მოდუნების უფლებას არ გვაძლევს",** — აღნიშნა იზორიამ.

მისივე თქმით, თამაზ ჭალალიძის მიერ გავრცელებულ მუქარის შემცველ ინფორმაციაზე გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 12 იანვარს დაიწყო, მურმან პაიჭაძის მიმართვაზე კი — რამდენიმე დღის წინათ.

**„ეს ყველაფერი გვაძლევს საფუძველს სერიოზული რეაგირებისთის, თუმცა ეს არ არის საფუძველი პანიკისთვის",** — აღნიშნა იზორიამ და ამ საკითხზე გამოძიების გააქტიურების კონტექსტში, მიმდინარე წლის ივნისში „ისლამურ სახელმწიფოსთან" კავშირის ბრალდებით ბორჩაშვილის დაკავების ფაქტი გაიხსენა. ლევან იზორიას თქმით, აღნიშნულ საქმეზე პირველი სასამართლო სხდომა 19 ნოემბერს გაიმართება.

ტერორიზმის წინააღმდეგ პრევენციული ზომების გატარების კონტექსტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ მოსმენების თაობაზე პოლიტიკური სპექტრის ერთი ნაწილისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკა და საკონსტიტუციო სარჩელი გაიხსენა და აღნიშნა, რომ „ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, პირველი რიგის ამოცანაა, სპეცსამსახურებს ჰქონდეთ ოპერატიული შესაძლებლობა ინფორმაციის მიღებისთვის, რათა დროულად მოხდეს საფრთხეების პრევენცია".

* * *

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის ლევან იზორიას განცხადებით, სსსკ-ის 315-ე მუხლით გამოძიება არა უკრაინულ ვებ-გვერდზე ატვირთული მასალების, არამედ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო.

„გამოძიებას საფუძვლად არ ედო ის ჩანაწერები, რომლებიც აიტვირთა უკრაინულ ვებ-გვერდზე, არამედ **გამოძიებას საფუძვლად ედო ოპერატიული ინფორმაცია, რომლის დეტალებზე საჯაროდ ვერ ვისაუბრებ, თუმცა საჯაროდ ამის შესახებ განცხადება გაკეთდა. რაც შეეხება შემდგომ, ამ დაწყებული გამოძიების ფარგლებში მოხდა სწორედ ამ ჩანაწერების უკრაინულ ვებ-გვერდზე ატვირთვა, რაც დამატებითი საფუძველი გახდა ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისთვის სწორედ იმ დაწყებული გამოძიების ფარგლებში. გამოძიების პროცესი დღესაც გრძელდება. ამაზე ახლო წარსულში ამერიკის ელჩმაც გააკეთა განცხადება და მან პირდაპირ თქვა, რომ ყველანაირი ძალადობის შემცველი მოწოდებები უნდა იყოს დაგმობილი და გაამართლა სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მოქმედება, გამომდინარე იქიდან, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ პროცესუალურადაც ვალდებულები ვართ, გამოძიება დავიწყოთ",** — განაცხადა იზორიამ.

ამასთან, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, იზორიამ უარი განაცხადა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ დეტალების გახმაურებისგან. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე არც იმას ამბობს, როგორ დასრულდა იმავე მუხლით ჯერ კიდევ ალექსანდრე ჭიკაიძის შს მინისტრობის დროს დაწყებული პირველი გამოძიება.

## დედამიწის ზურგზე




### ეიფელის კოშკი, პირველად პარიზის ტერორისტული აქტების შემდეგ, გაიხსნა მომსვლელთათვის

ამ დროს ღირსშესანიშნაობა სამი დღით შეღებეს ფრანგული ტრიკოლორის ფერში, პარიზის მერიის განკარგულების თანახმად. 13 ნოემბრის ტრაგედიის შემდეგ ქალაქი თანდათან უბრუნდება ცხოვრებას: ლუვრმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა სამხატვრო მუზეუმმა, განაახლა თავისი მუშაობა სამშაბათს, 13:00 საათზე ადგილობრივი დროით.

### სერბეთის პოლიციამ დააპატიმრა მამაკაცი, რომლის პასპორტშიც არის იგივე მონაცემები, რაც პარიზში ტერაქტის დროს აღმოჩენილში

სერბეთის პოლიციის წყაროების მონაცემებით, ახმად ალ-მუჰამედის ორ პასპორტში ერთმანეთს ემთხვევა სახელები და სხვა დეტალები. ამ დროს დოკუმენტში მოთავსებულია სხვადასხვა ფოტოგრაფიები. სერბ ჩინოვნიკებს მიაჩნიათ, რომ ორივე პასპორტი ყალბია. ამავე დროს სერბეთისა და საფრანგეთის ხელმძღვანელობა ერთობლივად ცდილობს, დაადგინოს დოკუმენტის წარმომავლობა.

### რუსეთი ყველაზე სერიოზულ გამოწვევას უგზავნის აშშ-ს ცივი ომის პერიოდის შემდეგ, განაცხადა პენტაგონის ხელმძღვანელმა

„ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ამ გამოწვევას" რუსეთის მხრიდან, თქვა ეშტონ კარტერმა. „ასეთი რამ არ ყოფილა ცივი ომის დამთავრების დროიდან", — დაუმატა მან, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა მოსკოვის საგარეო პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა — უკრაინასთან დამოკიდებულებაში. მინისტრის აზრით, რუსეთის შეკავებისათვის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გაზარდოს ინვესტიციები სამხედრო პროექტებში და მიაღწიოს ამას ნატოს სხვა ქვეყნებისგანაც.

### საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ახალი დარტყმა მიაყენეს „ისლამური სახელმწიფოს" პოზიციებს სირიის რაქეში

ოპერაციაში ათი სამხედრო თვითმფრინავი მონაწილეობდა, რომელთა ბაზებიც იორდანიაშია. მთლიანად მათ „ისლამური სახელმწიფოს" პოზიციებზე რაქეში 16 ბომბი ჩამოყარეს. შედეგად გაანადგურეს სამეთაურო პუნქტი და ტერორისტების საწვრთნელი ბანაკი. ასეთი ანგარიში გამოამზეურა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრომ.

### პარიზში ტერორისტული აქტების შემდეგ აშშ-ის 26-მა შტატმა უარი განაცხადა, მიიღოს ლტოლვილები სირიიდან

პროტესტი გამოთქვეს შტატებმა ალაბამადან ჯორჯიამდე, მიჩიგანიდან ილინოისამდე და მენიდან ნიუ-გემპშირამდე. ყველა გუბერნატორი, გარდა ერთისა, რესპუბლიკურ პარტიას წარმოადგენს. ასეთი პოზიცია გუბერნატორებმა გამოაქვეყნეს მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ პარიზში სულ ცოტა ერთი ეჭვმიტანილი პარიზის ტერორისტული აქტების ორგანიზაციაში აღმოჩნდა ევროპაში სირიელი ლტოლვილების ტალღასთან ერთად.

### გვინეაში განიკურნა ებოლის ციებ-ცხელებით დაავადებული უკანასკნელი პაციენტი

19 წლის წინათ დაბადებული ბიჭი, დაავადდა ებოლას ციებ-ცხელებით და გახდა უკანასკნელი პაციენტი გვინეაში, დადასტურებული დიაგნოზით. ის გამოჯანმრთელდა და გამოწერეს სამკურნალო ცენტრიდან ქვეყნის დედაქალაქ კონაკრიში. ბავშვი დაიბადა სამკურნალო ცენტრში ებოლას დაავადებით, რაც დედისგან მიიღო, რომელიც გარდაიცვალა დაავადების შედეგების გამო.



## პაგანინის საიდუმლო

**ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა ნიკოლო პაგანინის დაკვრა, როცა 200 წლის შემდეგაც მისი სახელი ვირტუოზი მევიოლინეს სინონიმად რჩება. მისი თანამედროვენი კი ორ ბანაკად იყო დაყოფილი: ზოგიერთნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თავისი ნიჭის საფასურად მან სული ეშმას მიჰყიდა, სხვებს კი სწამდათ, რომ მის ვიოლინოში... ანგელოზები ბინადრობენ.**



ბავშვობაში ნიკოლო პაგანინი გაჩხიკნულ მაიმუნს ჰგავდა – მას წინ წამოწეული ქვედა ყბა, არაპროპორციულად გრძელი ხელ-ფეხი და შეწეული მკერდი, თანაც ისეთი თითები ჰქონდა, რომ ნორჩი გენიოსის ერთ-ერთი პედაგოგი, მაესტრო კოზიო ამბობდა: „მისი ყველა თითი იხვის ნისკარტს ჰგავს, მაგრამ ვიოლინოზე დასაკრავად ასეთი თითები ყველაზე კარგია". 8 წლის ასაკში ნიკოლო სოლო კონცერტებს მართავდა და მსმენელი აღფრთოვანებაში მოჰყავდა.

პაგანინის გარეგნობა თანამედროვეების გაოცებას იწვევდა, მისი თაყვანისმცემლები ჰოეთე და ბალზაკი მის მიტკლისფერ სახეზე, საოცარ სიგამხდრესა და არაჩვეულებრივად გრძელ და მოქნილ თითებზე წერდნენ. საოცრად შრომისმოყვარე ნიკოლოს დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად უჭირდა სცენაზე დგომა: მას ფეხების სახსრების ტკივილები აწუხებდა, რასაც მუხლების თანდაყოლილი ამოვარდნილობა და გაღუნული მარჯვენა ფეხი უძლიერებდა. იგი ხშირად სისხლით ახველებდა, რასაც პირღებინება და გულის ამოვარდნა სდევდა. ასაკში რომ შევიდა, თვალისჩინი დააკლდა, თანაც დაყოლილი სიელმე და თვალის ბროლის ქვეამოვარდნა ჰქონდა. არადა, იგი ისეთი მძლავრი ქარიზმის მქონე იყო, რომ თვალების ამ პათოლოგიას თანამედროვენი „დემონურ მზერად" აღიქვამდნენ.

განსაკუთრებით მძიმე ნიკოლო პაგანინის სიცოცხლის ბოლო წელი იყო – მას ლაპარაკი აღარ შეეძლო და ძალა იმდენად გამოცლილი ჰქონდა, რომ ლოგინზე დადებული ვიოლინოს აწევაც აღარ შეეძლო.

## ისევ შაქარი სჯობს შემცვლელებს...

**მეცნიერ-დიეტოლოგებმა დაადგინეს, რომ დიეტური გაზიანი წყალი ისეთივე მავნეა, როგორც ჩვეულებრივი, არადიეტური.**

გაზიანი წყლის რეგულარულად მომხმარებლებზე დაკვირვებით ცხრა წლის მანძილზე, მკვლევარებმა ნახეს, რომ მათი წელის გარშემოწერილობა, საშუალოდ 8 სანტიმეტრით გაიზარდა, ხოლო საკონტროლო ჯგუფში კი, რომლის წევრები მას არ სვამდნენ, ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 2 პროცენტი შეადგინა.



მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სასმელის დამტკბობლები, შაქარივით სწრაფი დანაყრების შეგრძნებას არ იწვევენ, რის გამო ადამიანები დიეტურ გაზიან წყალს ჩვეულებრივზე დიდი ოდენობით მოიხმარენ.

## მადლობა ყველს, ანუ „ფრანგულის პარადოქსი"

**სიცოცხლის ხანგრძლივობას ფრანგები, თურმე... ყველს უნდა უმადლოდნენ – ეს მოულოდნელი დასკვნა ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დანიელმა მეცნიერებმა გამოიტანეს.**

ფრანგულ სამზარეულოში მრავლადაა ცხიმიანი კერძები, თანაც ისინი ბევრ ღვინოსაც მიირთმევენ, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კი 82 წელია, თანაც გულის სისხლძარღვთა დაავადებებით თავიანთ მეზობელ ბრიტანელებზე ორჯერ უფრო იშვიათად ავადდებიან. ფრანგების დღეგრძელობას „ფრანგული პარადოქსიც" კი შეარქვეს, რასაც წითელი ღვინის სასარგებლო თვისებებით ხსნიან.

აარუსის უნივერსიტეტის მკვლევართა აზრით, წითელი ღვინო ამ მოვლენის ახსნის მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია. მათ მოხალისეთა შარდისა და განავლის ნიმუშები შეადარეს, რომლებიც რძის სხვადასხვა პროდუქტს მოიხმარდნენ. გამოსაცდელთა მესამედი ორი კვირის განმავლობაში რეგულარულად მიირთმევდა ყველს, მესამედი რძეს სვამდა, დანარჩენები ნაღების კარაქს ჭამდა. ყველიც და ნაღების კარაქიც ბევრ გაჯერებულ ცხიმს შეიცავს, რომლებსაც ხშირად მავნე თვისებებს მიაწერენ.

ყველის მომხმარებელთა ანალიზებში მეცნიერებმა ცხიმმჟავის დიდი შემცველობა აღმოაჩინეს, რომელიც კუჭ-ნაწლავის ფლორაზე დადებითად მოქმედებს, ხელს უწყობს საკვების უკეთ მონელებასა და შეწოვას, აგრეთვე სისხლში ქოლესტერინის შემცველობას აქვეითებს. დანარჩენებს კი ამ ნივთიერების შემცველობა ნაკლები ჰქონდათ.

საშუალო სტატისტიკური ფრანგი წელიწადში სხვადასხვა სახეობის 24 კილოგრამ ყველს მოიხმარს.

## ქულები – მეტი, ცოდნა – ნაკლები

**ამერიკელ სოციოლოგთა ერთ-ერთი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ერთიანი ტესტების უკეთ ჩაბარებაზე ორიენტირებული სკოლადამთავრებულები, ნაკლებ ცოდნას იძენენ.**

ტეხასის შტატში ისინი ყველასათვის ერთიანი ფორმით ტესტებს რამდენიმე საგანში, მათ შორის, მათემატიკაში, ენაში, ბუნებისმეტყველებასა და გეოგრაფიაში აბარებენ. ერთ-ერთ სკოლაში, ბოლო სამი წლის მანძილზე, მოსწავლეთა შეფასებები დასაშვებ მინიმუმზე ნაკლები იყო, რის მიზეზი მხოლოდ ტესტების ჩაბარებაზე მიმართული სწავლის პროცესის განსაკუთრებული ინტენსივობა იყო. ბევრმა პედაგოგმა შეწყვიტა საშინაო დავალებების მიცემა, რათა მათ სატესტო ბლანკების შესავსებად მეტი დრო დარჩენოდათ. იმის გამო, რომ ყველანი ტესტების ძირითად საგნებში ჩაბარებაზე იყვნენ გადართულები, საკუთარი სურვილით არჩეულ საგნებში მეცადინეობას აღარ ესწრებოდნენ. ამის შედეგი კი ის იყო, რომ მოსწავლეებმა გაცილებით ნაკლები ცოდნა მიიღეს.

## ტელევიზორი და ლუდი: სახიფათო ტანდემი



**დონის როსტოვის სამედიცინო უნივერსიტეტში ერთობ ორიგინალური ექსპერიმენტი ჩაატარეს: ვირთაგვებს დიდი ოდენობით ლუდს ასმევდნენ და ბევრი მოძრაობის საშუალებას არ აძლევდნენ. შედეგი მეტად საგულისხმო აღმოჩნდა: ექსპერიმენტის დასრულებამდე ყველა ცხოველი დაიხოცა!**

– ცდის შედეგი ზუსტად ასახავს არსებულ სინამდვილეს: ალკოჰოლი – როგორც სუსტი, ასევე მაგარი, შეზღუდულ მოძრაობასთან ერთობლივად, როგორც ვირთაგვების, ასევე ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას დაახლოებით ერთნაირი პროპორციით ამცირებს, – ამბობს სარეაბილიტაციო ცენტრის „ვოზროჟდენიეს" ხელმძღვანელი, ნარკოლოგი **იური ვალბა**. – ვირთაგვები, რომლებიც, საშუალოდ, 1,5-2 წელიწადს ცოცხლობენ, 5 დღეში იღუპებოდნენ, ალკოჰოლის ჭარბად მომხმარებლები კი (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70 წელი), მხოლოდ 60 წლამდე აღწევენ.

## სახიფათო შეხვედრები

**ვალენსიის (ესპანეთი) სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად გაირკვა, რომ ლამაზ ქალთან შეხვედრა მამაკაცების სისხლში სტრესის ჰორმონის კორტიზოლის მნიშვნელოვან მომატებას იწვევს. მეტიც: ლამაზ ქალებთან ყოველდღიური ურთიერთობა ისეთ დაავადებათა საფრთხეს შეიცავს, როგორებიცაა დიაბეტი, ჰიპერტონია და, თქვენ წარმოიდგინეთ, იმპოტენციაც კი.**

ექსპერიმენტული ჯგუფის წევრ ას სტუდენტს თავსატეხი „სუდოკუ" უნდა ამოეხსნა, რა დროსაც მასთან ერთად ოთახში ორი უცნობი – მამაკაცი და ქალი იმყოფებოდა. გამოსაცდელის სისხლში კორტიზოლის დონეზე დაკვირვებისას, მკვლევარებმა საგულისხმო კანონზომიერება აღმოაჩინეს: **როცა ოთახში ლამაზი ქალი იმყოფებოდა, სისხლში სტრესის ჰორმონის შემცველობა მაღალი იყო, ხოლო როგორც იგი გარეთ გადიოდა, ის ნორმაზე ჩამოდიოდა. როცა კი მშვენიერი ქალბატონი უკან ბრუნდებოდა, კორტიზოლის შემცველობა სტუდენტი ჭაბუკის სისხლში კვლავ მაქსიმუმს აღწევდა.** მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მკვლევარებმა დასკვნა გამოიტანეს, რომ **ახალგაზრდა მომხიბლავი ქალის საზოგადოებაში ყოფნის დროს მამაკაცთა უმრავლესობა მასთან გაარშიყების გეგმებზე ფიქრობს. განსაკუთრებით კი ეს წესი უცხო ქალების შეხვედრისას მოქმედებს.** სტრესის დამადასტურებელი კორტიზოლის სისხლში შემცველობის მაქსიმუმამდე ასვლას სულ ხუთი წუთი სჭირდება. მისი სიჭარბე კი უჯრედული მეტაბოლიზმის მექანიზმის მოშლას იწვევს, შედეგი კი დიაბეტით და ჰიპერტონიით დაავადებაა.

## „გაყინული" სახის ეფექტი

**რეალურ ცხოვრებაში ადამიანები გაცილებით უკეთ გამოიყურებიან, ვიდრე ფოტოსურათებზე, აცხადებენ ამერიკელი მკვლევარები.**

გამოკვლევებით დადგინდა, რომ ხალხს ვიდეოზე გადაღებული უფრო ლამაზად მიაჩნიათ, ვიდრე იგივე სახეები ფოტოზე ასახული.

მეცნიერები თვლიან, რომ სახის სტატიკურ გამომეტყველებაში რაღაც ისეთია, რაც, მოკლე ვიდეოკლიპთან შედარებით, მის მომხიბლაობას ამცირებს. ამ ეფექტს მკვლევარებმა „გაყინული სახის ეფექტი" უწოდეს.

მეცნიერები ვერაფრით ხსნიან, თუ რატომაა, რომ სახის მოძრაობა მომხიბლაობას მატებს, თუმცა კი სავსებით ნათელია, რომ პორტრეტული ფოტოებით სილამაზის გადმოცემა ადვილი სულაც არ არის.

## კარგი ისაა, რაც ბუნებრივია

**მკვეთრი მაკიაჟი მამაკაცებს აფრთხობს, აცხადებენ ამერიკელი სოციოლოგები.**



გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მამაკაცებს უფრო ოდნავ შესამჩნევი მაკიაჟიანი, ანდა, სულაც, უმაკიაჟო ქალები იზიდავენ. სამწუხარო კი ისაა, რომ ბევრმა ქალბატონმა ამის შესახებ არ იცის. უფრო ადრე ჩატარებული გამოკვლევით კი აღმოჩნდა, რომ ქალების 80 პროცენტი საკუთარი გარეგნობის გამო ისე განიცდის, რომ ერთ თვეზე ადრე ახალ შეყვარებულს უმაკიაჟოდ არ ენახვება. კიდევ 17 პროცენტი ამ მომენტს ორი თვით სდებს, 16 პროცენტი – ერთი წლით, 3 პროცენტი კი „დაუხატავ" სახეს თავის გულის სწორს არასდროს აჩვენებს.

მეტიც: ყოველი მესამე ქალი დილაობით სატრფოზე გაცილებით ადრე იმიტომ დგება, რომ სახის მოწესრიგება მოასწროს, 60 პროცენტი კი, როცა ახალ საყვარელთან წვება, კოსმეტიკას საერთოდ არ იცილებს.

## „ჭუკის" მეთოდი

**კომპიუტერული კოდის ასაწყობად ზოგიერთი პროგრამისტი ეგრეთ წოდებულ „ჭუკის" მეთოდს მიმართავს.**

მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამუშაო მაგიდაზე დებენ სათამაშო ჭუკს და სტრიქონ-სტრიქონ დაწვრილებით „უხსნიან" მას, თუ რის გაკეთება მოეთხოვება პროგრამას. ამ მეთოდის მეშვეობით პროგრამისტები ხშირად ახერხებენ იმ შეცდომის მიგნებას, რომელიც კოდის დამუშავების დროს გამოეპარათ.

## ჭირვეულობის საფრთხე

**საჭმლის არჩევისას ჭირვეულობა, შესაძლოა, ფსიქიკის დარღვევის ერთ-ერთი გამოვლენა იყოს.**

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ჭამაში ყველაზე ჭირვეული პატარები, თავის თანატოლებთან შედარებით, ორჯერ უფრო მეტად სნეულდებიან დეპრესიებით. ზომიერად და ძლიერ ჭირვეულ ბავშვებს გაცილებით უფრო ხშირად აღენიშნებათ საგანგაშო აშლილობები. ჯანმრთელი ბავშვები ყველაფერს ერთნაირი მადით შეექცევიან და უფროსებს „ბევრს არ ახვეწინებენ".

## მაგ ჰაერს ისევ სიგარეტის მოწევა სჯობს

**მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებული ჰაერი ინდოეთის დედაქალაქ დელიში ყოფილა.**

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დღე-ღამის განმავლობაში დელის ჰაერით სუნთქვა, ამავე პერიოდში 10 სიგარეტის მოწევის ტოლფასია. ამიტომაცაა, რომ დელის ყველა მცხოვრებს სასუნთქი გზების დაავადებათა, კიბოს, ინსულტისა და სხვა მძიმე სნეულებათა შეყრის საფრთხე ემუქრება.

დელის შემდეგ კი ყველაზე დაბინძურებული ჰაერის მქონე ქალაქი პეკინია.



ჩოგბურთი

# მეორე ადგილს ვერ გასცდნენ

**საფრანგეთში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) თბილისელმა სოფიო შაფათავამ ზედიზედ ოთხი მეტოქე დაამარცხა — ფრანგები: ლესლი ჩესქუე (6:2, 6:1), კლემენს ფაიოლი (7:5, 6:4) და კინ ლეისი (6:2, 6:2), მერე უკრაინელი ელიზავეტა იანჩუკი დაჯაბნა - 6:0, 6:2, ფინალში კი ჰოლანდიელ ლესლი კირხოფთან დამარცხდა - 5:7, 3:6 და მეორე ადგილზე გავიდა. ამჟამად შაფათავა იაპონიაში იმყოფება და ტოკიოს 100.000-იან შეჯიბრებაში მოსინჯავს ძალებს.**



ლიმოჟში (საფრანგეთი) დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 92.749 ევრო), რომელშიც თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამაც იასპარეზა. წყვილებში იგი მარგარიტა გასპარიანთან (რუსეთი) ერთად პირველ ნომრად იყო განთესილი. მეოთხედფინალში მათ ფრანგები — მატილდა იოჰანსონი და ალიზ ლიმი ჩამოიშორეს გზიდან — 6:4, 7:5, ნახევარფინალში ჩეხებს — ლენკა კუნჩიკოვას და კაროლინა სტუჩლას სძლიეს — 6:3, 6:3, ფინალში კი ბარბარა კრეიჩიკოვასა (ჩეხეთი) და მენდი მინელას (ლუქსემბურგი) ტანდემთან დამარცხდნენ — 6:1. 5:7, 6:10. წაგების მიუხედავად, კალაშნიკოვამ და გასპარიანმა 95-95 სარეიტინგო ქულა დაიმსახურეს.

წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით, საერთაშორისო ასოციაციების განახლებულ რეიტინგებში ქართველ ჩოგბურთელ ქალვაჟთა მაჩვენებლები ასეთია:

**ქალები. ერთეულები.** 240 (238). სოფიო შაფათავა (197 ქულა), 381 (375). სოფიო ქვაცაბაია (94), 392 (390). ეკატერინე გორგოძე (89), 571 (576). მარიამ ბოლქვაძე (43), 646 (653). ოქსანა კალაშნიკოვა (31), 763 (755). თინათინ ყავლაშვილი (20), 1099 (1095). თამარ ჭალაგანიძე (7). 1197 (1199). ანა შანიძე (4).

**წყვილები.** 76 (78). კალაშნიკოვა (1021), 133 (132). შაფათავა (497), 155 (155). გორგოძე (411), 348 (349). ქვაცაბაია (147), 726 (727). ბოლქვაძე (36), 776 (779). ყავლაშვილი (30), 1107 (1111). ახალკაცი (11), 1107 (1111). შანიძე (11), 1180 (1182). ჭალაგანიძე (8).

**ვაჟები. ერთეულები.** 93 (90). ნიკოლოზ ბასილაშვილი 9602), 300 (302). ალექსანდრე მეტრეველი (163), 930 (929). გიორგი ცივაძე (16), 1136 (1134). გიორგი ჯავახიშვილი (8), 1423 (1417). ალექსანდრე ბაქში (3), 2076 (2080). ირაკლი მეტრეველი (1).

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# შევულოცოთ თუ ცხვარი დავკლათ?!

**როგორც გულისტკივილით გაუწყეთ, საქართველოს ეროვნულმა და ასაკობრივმა ნაკრებებმა წინა კვირაში დიდი სირცხვილი გვაჭამეს. მართალია, ამ დღეებში მდგომარეობა ოდნავ გამოვასწორეთ (ვაი ასეთ „პროგრესს!“), მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა საზეიმოდ ნამდვილად არა გვაქვს საქმე. ჰოდა, გეკითხებით — როგორ მოვიქცეთ: შევულოცოთ თუ ცხვარი დავკლათ?**

**ამხანაგური მატჩი. ეროვნული ნაკრებები.** ალბანეთი — საქართველო 2:2 (ამისულაშვილი, ჭანტურია. აღსანიშნავია, რომ 88-ე წუთამდე ევრო — 2016-ის ფინალური რაუნდის მონაწილეს 2:0-ს ვუგებდით).

**19-წლამდელები. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. III ტური.** საქართველო — ავსტრია 0:0, უელსი — ალბანეთი 2:3. მადლობა ალბანეთს, რომელმაც სამადლოდ გაგვათრია ელიტ-რაუნდში.

**საბოლოო მდგომარეობა VIII ჯგუფში.** ავსტრია — 7, საქართველო — 4, ალბანეთი, უელსი — 3-3 ქულა.

**21 წლამდელები. ევრო — 2017-ის შესარჩევი ეტაპი.** საქართველო — შვედეთი 0:1

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# თითო მარცხი და მოგება

**რეიკიავიკში მიმდინარე მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა გუნდურ ევროპის ჩემპიონატზე მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ქალთა ნაკრები რუსეთის გუნდთან დამარცხდა:** ნანა ძაგნიძე მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკს შეუთანხმდა ყაიმზე, ბელა ხოტენაშვილი ევროპის ორგზის ჩემპიონმა კატერინა ლაგნომ დაამარცხა, ნინო ბაციაშვილს, ასევე, კონტინენტის პირველობების ორგზის გამარჯვებულმა ვალენტინა გუნინამ მოუგო, ხოლო მერი არაბიძე ალექსანდრა გორიაჩკინას დანებდა. საბოლოოდ დიდი ანგარიშით - 0.5:3.5 დავმარცხდით. რუსეთის ნაკრები 8 ქულით დაწინაურდა. მას თითო ქულით საფრანგეთი და რუმინეთი ჩამორჩებიან.

**ვაჟთა ტურნირის მე-4 ტურში** საქართველოს ნაკრებმა ხორვატებს 2,5:1,5 სძლია: ბაადურ ჯობავა-ივან სარიჩი 1:0, ლევან ფანცულაია-ზდენკო კოზული 1:0, მერაბ გაგუნაშვილი-ანტე ბრკიჩი 0:1, ფრვოი სტევიჩი-მიხეილ მჭედლიშვილი 0.5:0.5. რუსეთმა უკრაინას 3:1 მოუგო და 8 ქულით ლიდერობს. შვიდ გუნდს, მათ შორის — საქართველოს, 6-6 ქულა აქვს.



**გივი გაგუა**

ღირსეული

# თაობები იამაყებენ

**იგი სიცოცხლეშივე, სრულიად ახალგაზრდა უკვდავყვეს, როცა საშვილიშვილო საქმეები დაუფასეს და როგორც რეფორმატორს, მადლიერებით გამსჭვალულ სტრიქონებად აკინძული გამოცემა უძღვნეს. არც ქართული სპორტული პრესის ბერმუხის თენგიზ გაჩეჩილაძის ავტორობით შექმნილი კრებულის ფურცლებზე და არც შემდგომში ამ რაინდული სულის პიროვნებას ოდნავი საყვედურიც კი არ დასცდენია მათ მიმართ, ვინც სტრუქტურული რეორგანიზაციის საბაბით საყვარელ გამოწვევას ჩამოაცილეს და, მწვერვალზე ასულს, კარისკენ მიუთითეს. რას იზამ, ჩვენ ხომ პარადოქსების ქვეყნის შვილები ვართ, სადაც გვერდიგვერდ სულდგმულობენ დაფასებაც და უმადურობაც.**

**დაიბადა 1962 წელს თბილისში. დაამთავრა დედაქალაქის 55-ე საშუალო სკოლა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტ „კავგიპროტრანსის“ ინჟინრად, ხოლო კომკავშირულ-პარტიული წრთობის შემდეგ იყო კონცერნ „საქკურორტმომარაგების“ გენერალური დირექტორი, დედაქალაქის კრწანისის რაიონის გამგებელი, თბილისის მთავრობის ვიცე-პრემიერი, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიდერი, შპს „გეოსპორტის“ გენერალური დირექტორი, ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ აღმასრულებელი დირექტორი, ეროვნული სტადიონის გენერალური დირექტორი. არის ფიფას ლიცენზირებულ აგენტი. ჰყავს მეუღლე ნინო მეტრეველი, ორი ვაჟი და ორი შვილიშვილი.**

დიახ, ქართული სპორტის მეცამეტე თავკაცს, სამაგალითო წინამორბედების (ვფიქრობ, მარტო გიორგი სიხარულიძის, ნუგზარ ენდელაძისა და კახი ასათიანის დასახელებაც კმარა) ღირსეულ მემკვიდრეს **ირაკლი მეძმარიაშვილს** სწორედ მაშინ აუნთეს წითელი, როცა ჩვენმა ოლიმპიურმა ოჯახმა ტრიუმფით დაძლია დამოუკიდებლობის პერიოდის „ბრინჯაოს ხანა“ და ათენიდან „ოქრო-ვერცხლით“ დახუნძლული დაგვიბრუნდა. ალბათ, არც ეს უნდა გაგვიკვირდეს — უხმაუროდ გამარჯვებულად წასვლა ხომ მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, თუნდაც იგი ზვარაკად კულტურისა და სპორტის სამინისტროების ერთი შეხედვით კეთილშობილურ გაერთიანებას შეეწიროს.



თუმცა, არსადაც არ წასულა — ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მესაძირკვლეთაგანის, სეოკ-ის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატის, მაშინ ერთ-ერთი სოლიდური საბჭოთა დაწესებულების ხელმძღვანელის ვაჟი დღესაც მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებს და არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირს — საზოგადოება „თბილისელს“ ხელმძღვანელობს, სადაც თვალსაჩინო საქველმოქმედო პროექტებს ანხორციელებს.

როცა ძვირფასი „გერმანიჩის“ ნოვატორობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეობის ხანმოკლე მოღვაწეობას უკავშირდება მთელი რიგი საამაყო ნაბიჯების გადადგმა. რად ღირს თუნდაც ბიზნესმენთა (მაგალითად, სულმნათი ბადრი პატარკაციშვილი ან გოჩა ძასოხოვი) თანადგომითა და ინვესტიციების მოზიდვით უამრავი პრობლემის გადაჭრა, საბიუჯეტო სახსრების კბილებით გამოგლეჯა, საეტაპო მნიშვნელობის ღონისძიების — „XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელის“ — უმაღლეს დონეზე ორგანიზება, დეპარტამენტის კედელზე ყოფილ მესაჭეთა პორტრეტების გამოფენა (ვითომ წვრილმანია?) და, განსაკუთრებით — მასმედიასთან იდეალური ურთიერთობა (გნებავთ — თანამშრომლობა), რასაც ერთეულები თუ ახერხებენ.

დამეთანხმებით, აღნიშნულ წერილს მარილი მოაკლდება, თუ არანაკლებ პატივს მივაგებთ ბატონ ირაკლის, როგორც მოგვიანებით განხორციელებული ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამოს“ ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციის სულისჩამდგმელს.

თუმცა, ვიდრე სათქმელს თავად დაგვიკონკრეტებს, მოდით, მის სადარბაზო ბარათს გავეცნოთ და ვკითხოთ საკუთარ თავს — გვაქვს კი იმის ფუფუნება, ამ ფართო დიაპაზონის მამულიშვილის გამოცდილებას ასე ვიწრო ჩარჩოებში ვაქცევდეთ?

**„— ზურაბ ზვიადაურისა და გიორგი ასანიძის ელადური „ოქრო“ ჩემი ძალისხმევის გვირგვინი გახლდათ, რადგან საამისოდ 4 წელი ვიომეთ, — მეუბნება ბატონი ირაკლი.**

**რაც შეეხება „დინამოს“ სტადიონის განახლებას, მარტო სპორტული მოვლენა როდი იყო — როგორც ბიზნესს, შვილივით ვუვლიდი. ეს იყო ქალაქი ქალაქში მთელი თავისი ინფრასტრუქტურით და სახელმწიფო სამსახურიდან კერძოში გადასვლის საგულისხმო ფაქტი.**

**არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბევრისათვის საოცნებოდ ქცეული მიღწევები 2000-2004 წლებშიც გვქონდა. კერძოდ, ლუკა კურტანიძე (ორგზის) მსოფლიოს ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში, მანუჩარ კვირკველია და მუხრან ვახტანგაძე — „კლასიკურში“, ძიუდოისტებმა კონტინენტური და მსოფლიო ფორუმები მოიგეს, მათი დამრიგებელი შოთა ხაბარელი პლანეტის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს, ხოლო მორაგბეებმა ევროპის ერთა თასი მოიპოვეს. მე რომ მივედი, 2001 წლის სპორტის დაფინანსება 300 ათასიდან მილიონნახევრამდე ავაყვანინე. შემდეგ მეთოდურად ვზრდიდით და მაქსიმუმამდე — 4 მილიონამდე თამასა 2004 წლის ოლიმპიური სეზონისთვის ავაწევინე.**

**ბუნებრივია, ასეთი შედეგები ჰაერიდან არ მოდის. ჩემი პირადი მოსაზრებით, რაც უფრო „სწყურია“ ათლეტს მედალი და, შესაბამისად, სათანადო პრემია, მით უფრო ახდენს საკუთარი ძალების მობილიზებას და შედეგებიც დამსახურებული აქვს.**

**ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ასანიძის მიზანდასახულობა, რომელმაც, მართალია, დისკვალიფიკაცია მოიხადა, მაგრამ ტვინში მაინც ოლიმპიური „ოქრო“ უტრიალებდა. იგივე შეიძლება ითქვას ზვიადაურზეც, რომელიც საბერძნეთში გამგზავრებამდე 6 თვით ადრე მუხლში დაჭრეს.**

**იმ ოთხმა წელიწადმა მრავალი საინტერესო შეხვედრაც დაიტია, დაწყებული სოკ-ის პრეზიდენტ სამარანჩით, ჩემი კოლეგებით, ერთ დროს ტიტულოვანი სპორტსმენებით დამთავრებული (ჰოკეიში სტენლის თასის მფლობელიც კი).**

**დაუვიწყარია 2002 წლის „თეთრი ოლიმპიადის“ მასპინძელ სოლტ-ლეიკ სიტიში სახელოვანი რუსი სპეციალისტის ელენა ჩაიკოვსკაიასათვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის დიპლომის გადაცემის ცერემონიალი, რომელიც თამაშებისათვის ჩვენს ფიგურისტ მურვანიძეს ამზადებდა და ცრემლები ვერ შეიკავა. გასათვალისწინებელია აგრეთვე პრეზიდენტ შევარდნაძის ავტორიტეტი და ფაქტორიც.**

**2004 წელს ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი გავხდი (ორ წელიწადში — აღმასრულებელი დირექტორი). სწორედ მ აშინ გადაწყდა, რომ 30 წლით სამართავად ვიღებდით „დინამოს“ სტადიონს და უნდა ჩაგვებარებინა უეფას სტანდარტების შესაბამისი სარბიელი. იმავე წლის 11 აპრილს დაიწყო ფართომასშტაბიანი სამუშაოები და 2 სექტემბერს უკვე გახსნის მატჩი გვქონდა ფრანგებთან. იყო დღეები, როცა 3000 კაცი ღვრიდა ოფლს. ძნელია დაითვალო, რამდენი ტონა სამშენებლო ნაგავი გავიტანეთ იქიდან. სხვათა შორის, გრუნტის წყლების ყბადაღებულ საკითხსაც მაშინ დაესვა წერტილი. მოკლედ, უეფამ უმაღლესი შეფასება მოგვცა, ქვეყანას კი მშვენიერი არენა დარჩა არა მარტო ფეხბურთელთათვის, არამედ მორაგბეებისა და მძლეოსანთათვისაც.**

**...საკონტრაქტო ვადის ამოწურვის შემდეგ, 2013 წლის ივნისში ავსტრიიდან სამშობლოში დავბრუნდი, ხოლო სექტემბერში არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი — საზოგადოება „თბილისელი“ აღვადგინეთ. იგი შემოწირულობებით სულდგმულობს და განვლილ ორ წელიწადში არაერთი საქველმოქმედო აქციის ინიციატორი გახდა. რაც არანაკლებ ფასეულია, ამ სასიკეთო საქმეებში უცხოელებიც გვერდში გვიდგანან. საილუსტრაციოდ დავასახელებ წლევანდელი ტრაგიკული სტიქიის შემდეგ 1 თვეში 14 ივლისს ჩატარებულ საქველმოქმედო აუქციონს „თბილისის მეგობრები“, რომლის ორგკომიტეტშიც 15 წევრი იყო წარმოდგენილი. მართალია, მათი ნაწილი ჩვენს დედაქალაქში არ ცხოვრობს, მაგრამ მასთან გარკვეული წლები აკავშირებს. შემოსული დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარით სტიქიის შედეგად მარჩენალდაკარგულ ოჯახებს შევუძინეთ, გავურემონტეთ, ავეჯითა და ტექნიკით მთლიანად დავუკომპლექტეთ ბინები. ამ თანხის შეგროვებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს ქართველმა ბიზნესმენებმა, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.**

**რაც შეეხება აწმყოს, წლეულს ვიყავი ძალოსანთა თბილისური ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე და მთელი გამოცდილება მოვახმარე მის ღირსეულად გაძღოლას. მასპინძლობის ხარისხზე შემდეგი ფაქტი მეტყველებს: სავარაუდოდ, განაცხადს შევიტანთ 2017 და 2018 წლების უმაღლესი რანგის ოფიციალური ტურნირების მისაღებად.**

**დაბოლოს, რამდენიმე კვირის წინათ კახი კახიაშვილთან და ზურაბ ბოქოლიშვილთან ერთად კორპორატიული სპორტის ფედერაცია დავაფუძნეთ.“**

დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი ნუსხაა.

გაგრძელება იქნება!

**გია პლატონიშვილი**

⊙ გამოიცა

# საქართველოს განათლების მატიანე

**განათლება ქვეყნის, სახელმწიფოს სოციალურ-კულტურული მდგრადობის საფუძველი, მისი განვითარების საზომია. ყველა კულტურული ერი საგულდაგულოდ იკვლევს თავისი განათლების ისტორიას, სწავლობს მისი აღმავლობისა და დაქვეითების მიზეზებს.**

ამ დღეებში ქართველი მკითხველის წიგნის თაროს ახალი აკადემიური გამოცემა — **„საქართველოს განათლების მატიანე“** შეემატა. იგი საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის




ეგიდით გამოსცა შემდგენელთა ჯგუფმა: პროფესორებმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორებმა — აკადემიკოსმა **ნათელა ვასაძემ** (ჯგუფის ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი), **ავთანდილ ასათიანმა, იმერ ბასილაძემ, ლუბა ბიბილეიშვილმა, ინეზა იამანიძემ, თამაზ კარანაძემ, შოთა მალაზონიამ,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **დავით მალაზონიამ,** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა **რევაზ ბალანჩივაძემ,** განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრმა **თამაზ ტატიშვილმა.**

ამ შთამბეჭდავი ტომის შიგთავსში საფუძვლიანად გვაკვალიანებს მისი შემადგენელი ნაწილები: ქართული განათლების ისტორია; ქართული პედაგოგიკის სიბრძნე; ქართული სამოციქულო ეკლესია და ახალგაზრდობის აღზრდა-განათლება, ქალთა განათლება, პედაგოგიკური იდეები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში; ქვეყნის დამოუკიდებლობა, ახალი ეპოქა და სკოლა; უმაღლესი განათლება და მეცნიერება; გლობალიზაცია და ეროვნული სკოლა.

„მატიანის“ მიზანია, წარმოაჩინოს განათლებისა და ქართული პედაგოგიური აზრის განვითარების ისტორიის მთლიანი სურათი, საქართველოში უძველესი დროიდან არსებული განათლების ისტორიის სისტემური და კანონზომიერი განვითარების ეტაპები.

წიგნის მეცნიერი კონსულტანტი, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **როინ მეტრეველი** წერს: ეს არის საქართველოს განათლებისა და პედაგოგიური აზრის ისტორიის წარმოჩენის წარმატებული ცდა. საგანგებო ყურადღება აქვს დათმობილი პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებებს. ნაჩვენებია, რომ ეს დარგები განათლების განვითარებისა და, ამასთან, განათლების სისტემის მეცნიერული მართვის საფუძველს წარმოადგენენ.

ეს, ფაქტობრივად, პირველი ნაშრომია, რომელშიც ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, წლების, საუკუნეებისა და პრობლემების შესატყვისადაა წარმოდგენილი ოცსაუკუნოვანი უმდიდრესი ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები.

ამ წიგნში შეძლებისდაგვარად აისახა ოცი საუკუნის მანძილზე დაგროვილი სახელმწიფოებრივი და საგანმანათლებლო გამოცდილება, ფაქტები, მათი წარმოქმნის მიზეზები, ერის სულიერი მამებისა და საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევი, ისტორიული პროცესების ურთიერთკავშირი დაედო საფუძვლად „მატიანის“ მტკიცებულებას თუ რით იყო გამოწვეული ქართველთა მისწრაფება განათლებისკენ. ქართველების ისეთი თვისებები, როგორებიცაა ტოლერანტობა, ერთგულება, მშვიდობიანი თანაარსებობა, საგანმანათლებო ტრადიციები, ქართული კულტურისა და ადათ-წესების პატივისცემა, მომავალი თაობის აღზრდა-განათლების, მეცნიერების განვითარების გზების ძიება და ა. შ.

„საქართველოს განათლების მატიანე“ ორენოვანია: იგი ინგლისურადაა თარგმნილი. რედაქტორის მტკიცებით მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში დღემდე არ არსებობს წიგნი, რომელიც ასე დაწვრილებით გადმოგვცემს ქართული განათლების მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

წიგნის გამოცემისთვის გაწეული დახმარებისთვის საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია დიდ მადლობას უხდის კომპანია „მაგთიკომს“.

**ალექსანდრე ალექსიძე**

სანთელი

# კონსტანტინე უჩანეიშვილის ხსოვნას



დღეს 90 წელი შეუსრულდებოდა ბატონ კოტეს, ცნობილ მშენებელს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა სარედაქციო კოლეგიის წევრს. მისი მეგობრები და კოლეგები მოუთმენლად ველოდით ამ თარიღს, რომ ბატონ კოტესთან ერთად აღგვენიშნა იგი. მაგრამ არ დასცალდა. წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პიროვნება, თავმდაბალი, დიდი პროფესიონალი, ყველას მოყვარული და მოსიყვარულე. დღესაც ყურში ჩაგვესმის მისი ტრადიციული სიტყვები: „ჩემო საყვარელო კაცო“.

დიდი დანაკლისია საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიისათვის მისი არყოფნა. დიდი ღვაწლი დასდო მან ამ ენციკლოპედიის დახვეწას და მომზადებას გამოცემისათვის. სამწუხაროა, რომ იგი ვერ მოესწრო ამ ნაშრომის ხილვას.

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

**საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო საგამომცემლო ფონდი;
საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედის სარედაქციო კოლეგია.**

# მეგობრის გახსენება



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 1950 წლის კურსდამთავრებულები გულისტკივილით ვიხსენებთ, რომ ჩვენ თანაკურსელს, დაუვიწყარ მეგობარს **კონსტანტინე (კოტე) უჩანეიშვილს,** 18 ნოემბერს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა (სამწუხაროდ, მას რამდენიმე თვე დააკლდა, რომ მოსწრებოდა ამ თარიღს).

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, საქართველოს დამსახურებულმა ინჟინერმა, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს, მათ შორის, ღირსების ორდენის კავალერმა სახელოვანი გზა გაიარა სამუშაოთა მწარმოებლიდან სამშენებლო ტრესტის „საქშახტმშენის“ მმართველამდე. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის მშენებლებისა და არქიტექტორების ენციკლოპედიის გამოცემის მომზადებაში.

იგი ამაყობდა, რომ მისი უშუალო მონაწილეობით საქართველოს სხვადასხვა ქალაქში აშენდა მრავალი უნიკალური, თვალსაჩინო ნაგებობები: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ადმინისტრაციული კორპუსი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის შენობა, საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომპლექსი, კვების მრეწველობის საპროექტო ინსტიტუტის მაღლივი შენობა და მრავალი საცხოვრებელი და კულტურულ-სოციალური დანიშნულების ობიექტები და სხვა.

ბატონი კოტე მშვენივრად უთავსებდა სამსახურებრივ საქმიანობას და პირად ცხოვრებას. შექმნა ბრწყინვალე ოჯახი და მეუღლესთან ერთად გაზარდა სამი შვილი. ხარობდა შვილიშვილებითა და შვილთაშვილით. უსაზღვროდ უყვარდა მეგობართა წრე, იყო თავკაცი ყველა ცხოვრებისეული წამოწყებისა, არაჩვეულებრივი გადმოცემის უნარი და უბადლო ვოკალური მონაცემები საშუალებას აძლევდა მეგობრებში ყოფილიყო შეუცვლელი თამადა.

მისი ოჯახისა და მეგობრებისთვის მისი არყოფნა დიდი დანაკლისია.

ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

**ლამარა მასხარაშვილი, მილიცა ნადირაძე, იამზე ფანცხავა, ნათელა ჭედია, ადიკო გვალია, ანატოლი გეწაძე, გია გიგიბერია, ირაკლი მილორავა, ნოდარ მეძმარიაშვილი, თამაზ შარაბიძე, ნოდარ ჩიბალაშვილი, გუგა ჭოხონელიძე.**

## განცხადება

2016 წლის 12 იანვარს, 14 საათზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქალაქი მარტვილი, თავისუფლების ქუჩა №10), გაიმართება მდინარე ტეხურაზე ჰიდროელექტროსადგურების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მდინარე ტეხურაზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის განხორციელება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **კომპანიის ოფისში, მისამართი: 0171, ქ. თბილისი, ვახტანგ ბოჭორიშვილის ქუჩა 88/15, მე—9 სართული, ტელეფონი: 0(32)2554500.**
- **მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: 3100, ქალაქი მარტვილი, თავისუფლების ქუჩა №10, ტელეფონი: 0(418)220060; მობ: 577959193**

დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: www.moe.gov.ge www.phazisigroup.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა (დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე) 2016 წლის 3 იანვარს, 14 საათამდე.

**კომპანია „ტეხური ენერჯის“ ადმინისტრაცია**

**პედიატრიის ინსტიტუტის ბავშვთა და მოზრდილთა ალერგიის ცენტრი იუწყება, რომ გარდაიცვალა რუსუდან ქარსელაძე-აფხაზავას ძმა**

**არჩილ აფხაზავა**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

⊙ ინფორმაცია

## ქარბორბალა ფოთში

**ფოთს ქარბორბალამ გადაუარა, რომელმაც რუხაძის ქუჩაზე ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლს სახურავი მთლიანად გადახადა, დაზიანებულია კერძო საცხოვრებელი სახლები. მოსახლეობა დახმარების მოლოდინშია.**

**ადგილობრივ მთავრობაში სპეციალური შტაბი შეიქმნა, რომელიც ზარალს დაითვლის.**

**ქარბორბალა ფოთში რამდენიმე წუთი გაგრძელდა. ზღვის ღელვა ამ დროისთვის 5-6 ბალს შეადგენს.**

⊙ ინფორმაცია

# დანაშაულის სტატისტიკა

**შინაგან საქმეთა სამინისტრო ოქტომბრის და იანვარ-ოქტომბრის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. უწყების ინფორმაციით, 2015 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულ იქნა 3486 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1565 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 44.89%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული მატებაა (0.72% (25 ერთეულით).**

**2015 წლის ოქტომბერში შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2237 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1358 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 60.71%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლება -2.01%.**

**2015 წლის იანვარ-ოქტომბრის თვეებში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულ იქნა 29500 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 17211 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 58.34%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -3.89%.**

**2015 წლის იანვარ-ოქტომბრის თვეებში შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით კი რეგისტრირებულ იქნა 20918 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 14136 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 67.58%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -5.29%.**

### ორი სათრეველა

# ყურმოკრული დიალოგი

— რომ სურს ჩვენთან დაჯახება,
ამბოხი და აჯანყება,
თუ შეატყვე,
ეს ამბავი მოდის სიდან?
— რა თქმა უნდა, ოდესიდან!

* * *

— აჯანყებით რა მოხდება?
სული ისევ ამოგვხდება?
„ცოცხოსნობა“ კვლავ მხრებს გაშლის?
— დაბრუნდება მაოხრებლად,
მიტომ ცდილობს ამბოხებას,
როგორც 2003-ში!

* * *

— ჩავსვათ გიჟი ტომარაში?
ვერ გაბედავს „თომარს“ მაშინ!

**ალექსანდრე შენგელია**

### რას ვჭამთ?

# უმი კარტოფილის „ოინები“

**ამჟამად ჩვენთვის ჩვეული კვების სისტემა კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე დიდი სიძნელეების გადალახვით ყალიბდებოდა და მრავალი სიკვდილი ახლდა. საქმე ისაა, რომ ძალიან ბევრი სურსათის მომზადების ტექნოლოგიების მიგნებას ბევრი დრო დასჭირდა.**

„ყველაფერი შხამია, და არაფერია ისეთი, რაც შხამიანობას მოკლებული იყოს. მხოლოდ დოზა ხდის შხამს უვნებელს“ — შუა საუკუნეების ექიმისა და ალქიმიკოსის პარაცელსის ამ სიტყვებს ხშირად იხსენებენ, როცა უკვე ცნობილ შხამშემცველებზე, მაგალითად, თამბაქოსა და ალკოჰოლზე ლაპარაკობენ. მაგრამ კაცობრიობამ მრავლად იცის დიდი სარგებლის მომტანი სურსათიც, რომელიც, გარკვეულ ვითარებაში, შესაძლოა, ჯანმრთელობისთვის არა თუ საზიანო, სახიფათოც კი გახდეს.



მე-17 საუკუნეში ერთმა ინგლისელმა მეზღვაურმა ინდოეთიდან დედამისს საჩუქრად ერთი გირვანქა ჩაი გაუგზავნა. ქალბატონმა ვაჟიშვილის ძღვენით მეზობლების გამასპინძლება გადაწყვიტა და მთელი ჩაი ერთიანად მოხარშა, მერე მუქი და, მისი აზრით, ძალიან უგემური ნახარში გადაღვარა, ხოლო თავად გამოხარშული ფოთლები სინზე კოხტად დააწყო, ზედ არაჟანი მოასხა და სტუმრებს ისე მიართვა. ეგზოტიკურად მომზადებული ჩაით კაცი არ მოიწამლება, დიდი-დიდი, დიარეა დაემართოს, თუმცა კი ცნობილია შემთხვევა, როდესაც ისეთმა გემრიელმა და სარგებლიანმა მცენარემ, როგორიცაა სიმინდი, მე-18 საუკუნეში სამხრეთ ევროპის მოსახლეობის 10 თუ 15 პროცენტი იმსხვერპლა!

ყველაფერი ძალიან იმედიანად დაიწყო, ამერიკიდან ჩამოტანილ სიმინდს დიდი სიხარულით შეხვდნენ, რაც არც არის გასაკვირი: იტალიაში მისი მოსავლიანობა ხორბლისას ათჯერ აღემატებოდა! ამდენად, შიმშილმა უკან დაიხია, სიმინდის ფქვილის მჭადი და ღომი ასევე ბალკანეთის მოსახლეობის ძირითად საკვებად იქცა. ჰოდა, აი, აქ იჩინა თავი ერთმა უსიამო გარემოებამ. ღომი დანაყრების გრძნობას რომ იწვევს, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ მასში საერთოდ არ არის ორგანიზმისთვის საჭირო ვიტამინი, რომელსაც **ნიკოტინის მჟავა** ეწოდება რომლის დეფიციტი **ცინგაზე** გაცილებით საშინელ დაავადებას იწვევს — ესაა **პელაგრა**. მას კიდევ **„სამი დ-ს“** დაავადებას უწოდებენ. რომლებიც მზარდი ინტენსივობით ვითარდება. ესენია **დიარეა** (კუჭის აშლა), **დერმატიტი** (კანის დაავადება) და **დემენცია** (გაგიჟება). ინგლისელი მედიკოსები მას კიდევ მეოთხე „დ“-ს ამატებენ Death (ანუ სიკვდილს). იტალიური წყევლის შესაბამისად — „დაე შენი სიცოცხლე ხანმოკლე იყოს, სიკვდილი კი — ხანგრძლივი“, პელაგრისგან ხალხი 4 წელიწადში იხოცებოდა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ სავალალო ბედს — მხოლოდ... მსმელები გადაურჩნენ, რადგან ღვინო ღომის ყველა ნაკლს ავსებდა. თუმცა კი არა მარტო ღვინო, ასევე ხორციც და თევზიც, რომელიც, მართალია, ღარიბთათვის ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი, სამაგიეროდ, ქორფა მწვანილი იტალიაში მუდამ არის და ნიკოტინის მჟავის დეფიციტს ორგანიზმს სავსებით უნაზღაურებს.

მსგავსი ამბავი კარტოფილთან დაკავშირებითაც მოხდა. ეს ახლაა, რომ ეგრეთ წოდებული „კარტოფილის ჯანყები“ რაღაც გაუგებრობად გვეჩვენება — განა როგორ შეეძლოთ გლეხებს ასეთი ხვავიანი და იაფიანი საკვების მოყვანაზე უარი ეთქვათ? მაგრამ საქმე ისაა, რომ მაშინდელი გლეხები ჩვენზე უჭკუოები სულაც არ იყვნენ: **ამერიკიდან ევროპაში მექანიკურად გადმოტანილმა კარტოფილმა თავისი მავნე თვისებები გამოამჟღავნა.** პირველი, ჯერ კიდევ არასელექცირებული კარტოფილი, დაბალი ხარისხისა და ძალიან უგემური იყო. ხარშვისას მისი ბოლქვები მჟავე და მყრალ, თანაც, — შხამიან ფაფად იქცეოდა. თუმცა ასეთად იგი შეიძლება დღესაც იქცეს — ტყუილად როდი გვეუბნებიან, რომ **ბოლქვების გამწვანებული ნაწილები აუცილებლად უნდა მოიჭრას, რადგან ისინი ტოქსიკური სელანინითაა გაჯერებული.** მაგრამ, უბედურება ისაა, რომ თავდაპირველად კარტოფილს არც კი ხარშავდნენ!

მსგავსი კურიოზები კვების სხვა პროდუქტებსაც მრავლად მოსვლიათ, მათ შესახებ მომდევნო პუბლიკაციებში გიამბობთ.

### ცინცხალი ანეკდოტები

**— ძვირფასო, ნუ გადიხარ აივანზე ბანაობის შემდეგ, — ეუბნება სიძე სიდედრს, თორემ, როგორც ყოველთვის, გაცივდები და არ მოკვდები.**

* * *

**მიხომ ცოლი მოიყვანა და ვირმა ვენები გადაიჭრა.**

* * *

**ცოლ-ქმარი მაღაზიაში შედიან.**

**— თუ შეიძლება, აი, ის ძეხვი ამიწონეთ, სამასი გრამი, ძაღლისათვის, — ეუბნება ქმარი გამყიდველს.**



**— პოლ, — ეჩურჩულება ცოლი ქმარს, — ჩვენ რომ ძაღლი არ გვყავს?**

**— სუ, — აჩუმებს ქმარი,— ნუ წკმუტუნებ!**

* * *

**— მამი, სკოლაში ცისფერს მეძახიან! — ეუბნება შვილი მამას.**

**— მერე ვერ დაუნგრევ ცხვირ-პირს?!**

**— რატო, მა, იცი, რა საყვარლები არიან?**

* * *

**ცოლი შემოდის სახლში, იღებს ჩანთიდან და მაგიდაზე ალაგებს რამდენიმე ბოთლ ლუდს, შებოლილ თევზს, კიბორჩხალებს, კიდევ რაღაცებს...**

**— ძვირფასო, გადართე ტელევიზორი, ფეხბურთი დაიწყება მალე! — ეუბნება იგი ქმარს.**

**— მაგრადაა? — ეკითხება ქმარი.**

**— მმმ... ბამპერი და ცოტა კაპოტი...**

## ყურადღება!

2015 წლის 20 ნოემბერს (პარასკევს) 15 საათზე გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, ცნობილი მუსიკოსი და შემოქმედი, ბატონი

**ნიკო ნადირაშვილი**

თემაზე: **„20 წელი ამერიკაში — ცხოვრება და მოღვაწეობა“.**

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის საკონფერენციო დარბაზში (ალ. ყაზბეგის 47, VI სართული).

დასწრება თავისუფალია.

**თეიმურაზ ბაბუნაშვილი,**
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი.
ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.

## ყურადღება!

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

**ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

## ყურადღება!

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი — მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი.

ტელ: 599 370035, მანანა.

## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

### კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მარჯანიშვილის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე